# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 29 ოქტომბერი. 2019 წ. №214 (8880) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# არ გათეთრდების...

## ბიძინას ბიძინასგან

## ის დიდი ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალა!..

...**შენ** კი, „ქართული ოცნებავ“, მილიარდებთან შეთამაშებული ადამიანების ბრძოლას შვიდი წლის წინანდელი სტატუს-კვოს აღსადგენად ეგრე იოლად ნუ უყურებ. კმარა „პარტნიორების“ დაკრულზე თამაში. უფრო სწორად, კმარა „ლობიოობის“ ყოველგვარი ჯანსაღი ლოგიკიდან ამოვარდნილი „რჩევებით“ გამართლება. **ხალხს უსმინე, იმ ხალხს, ტირანიასთან ბრძოლაში უშიშრად რომ ამოგიდგა მხარში.**

ბოლო დღეებში მომხდარმა ორმა ამბავმა მაიძულა საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა შემეწყვიტა: **ა) ბოკერიასა და სააკაშვილს „ცხარე პოლემიკა“ გაუმართავთ, „არჩევნებში გამარჯვების“ შემდეგ, ბიძინა ივანიშვილს „ციხეში უნდა უკრან თავი“, თუ უნდა „აპატიონ ყველაფერი“;** ბ) „ქართული ოცნების“ პიარის ერთ-ერთი შემოქმედი ლაშა ნაცვლიშვილი, როგორც ყოფილი პროკურორი, **„გულახდილად გაგვენდო“, რომ ბოკერია, თავის ბაქრაძიანად, თურმე კაი ხნის დასაჭერები ყოფილან (თანაც, კონკრეტულ საქმეებსაც ასახელებს), მაგრამ „დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის“, თურმე, შერჩევითად, სამართალი და სამართლიანობა სადღაც უჯრაში გამოუკეტავთ(?).**

ბავშვობიდან არ მიყვარდა ცნობილი ქუჩური „შეგონება“ – „ავადმყოფი ლოგინშიო.., თორეო...“. არ მიყვარდა, რადგან უშინაარსო სიბილწედ აღვიქვამდი. თურმე, სადა ხარ, ბიძინა დვალო?! **ზემოთ მოხმობილი ორი ამბის შეჯერება გვარწმუნებს, რომ ხალხი მართლაც ბრძენია და ამ შემთხვევაში, „სიბილწე“ არა მხოლოდ მოგონილი ამბის მძაფრად აღქმის ფორმაა, არამედ პირდაპირი შინაარსის მქონე ჭეშმარიტება, ანუ მარადიული რეალობა.**

პირველი, რაც „ოცნების“ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მინდა შევუძახო – **შემირცხვენია ის დემოკრატია, სამართალი და სამართლიანობა უჯრაში რომ ჰყავს გამომწყვდეული.**

მეორე, რაც ბოკერია-სააკაშვილის კონკრეტულ „დაპირისპირებასთან“ დაკავშირებით ლაშა ნაცვლიშვილის ბოლო ინტერვიუმდე არავისგან მომისმენია: აქამდე **ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობდნენ** (ან თავს იტყუებდნენ), **რომ ზოგადად, დაპირისპირება რეალურია, ოღონდ, საჭირო შემთხვევაში, აუცილებლად ისევ პოლიტიკური ქორწინებით დასრულდებაო.** მინდა დავეთანხმო ბატონ ნაცვლიშვილს (უბრალოდ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს), რომ **„გაყრაც“ და ყველა ე.წ. დაპირისპირებაც ერთობლივად შემუშავებული გეგმის ნაწილია და თითოეულ მათგანს კარგად გათვლილი კონკრეტული მიზანი აქვს.**

რაც შეეხება უკანასკნელ „სპექტაკლს“ – **ამოცანა ასეთია, საზოგადოება უნდა შეაგუონ იმ აზრს, რომ ხელისუფლება დასასჯელია, ანუ დამნაშავეა.** ამით ნაცბანდა ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს: **1. თავისი დანაშაულები აზილოს „ყველა დამნაშავეას“ ტალახში და ამით ნაწილობრივ შესაჩვევი გახადოს ისინი; 2. საზოგადოებას გაუჩინოს განცდა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით ისინიც დანაშაულის თანამონაწილეები ხდებიან და არ არის გამორიცხული, ამისთვის მოეკითხოთ კიდეც,** რაც ხმების გაფანტვის, ანუ მმართველი პარტიისთვის ხმების დაკარგვის პირობად უნდა იქცეს.

იხ. 3 გვ.

# ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო „ციცინათელები“...

გთავაზობთ ბიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების არასრულ სიას:

**ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებულმა ფონდმა „ქართუმ“ ეკოლოგიის მიმართულებით, პარკების, ბაღების მოწყობასა და პატრონობაში ასობით მილიონი ლარი დახარჯა:**

- **თბილისის ბოტანიკური ბაღის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა – 14, 751, 940 ლარი (მიმდინარე პროექტი);**
- **ბოტანიკის ინსტიტუტის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა –2, 687, 500 ლარი (მიმდინარე პროექტი);**
- **ბათუმის ბოტანიკური ბაღის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა – 4, 022, 729 ლარი (მიმდინარე პროექტი);**
- **გასართობი პარკის – ციცინათელას“ მშენებლობა და სრული ტექნიკური აღჭურვილობა – 60, 485, 273 ლარი;**
- **თბილისის ბოტანიკური ბაღის სარესტავრაციო, ინფრასტრუქტურული და გამწვანებითი სამუშაოები – 11, 452, 226 ლარი (მიმდინარე პროექტი);**
- **ბათუმის ბოტანიკური ბაღის სარესტავრაციო, ინფრასტრუქტურული და გამწვანებითი სამუშაოები – 8, 010, 595 ლარი;**
- **ბათუმის ახალგაზრდობის პარკის მოწყობა – 11, 100, 000 ლარი;**
- **ყუმისთავის მღვიმის რეაბილიტაცია – 5, 041, 150 ლარი;**
- **„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ დაფინანსება –515, 391 ლარი;**
- **კახეთში 2012 წლის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის საქველმოქმედო დახმარების პროგრამა – 98, 084, 427 ლარი;**
- **ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის რეაბილიტაცია –168, 000 ლარი;**
- **ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების რეაბილიტაცია – 412, 908 ლარი;**
- **2015 წლის 13 აგვისტოს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა – 8, 000, 000 ლარი;**
- **ურეკის მინიატურების პარკის მოწყობა – 10, 665, 810 ლარი;**
- **ურეკის მუსიკოსთა პარკის მოწყობა – 3, 638, 500 ლარი;**
- **თუშეთის დაცული ტერიტორიის რეაბილიტაცია – 350, 000 ლარი;**
- **საგურამოს პარკის რეაბილიტაცია – 1, 406, 764 ლარი (მიმდინარე პროექტი);**
- **შადრევანის მოწყობა ნატანების საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ – , 770, 000 ლარი;**
- **საჩხერეში ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომელთა დაფინანსების პროგრამა – 900, 000 ლარი (მიმდინარე პროექტი).**

## ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება რუკების ომისთვის ემზადება 4

## რუსეთის მიზანი დემოკრატიებისთვის, ნატოსთვის, ევროკავშირისთვის ძირის გამოთხრაა! 8

## საზოგადოებრივი მაუწყებლის რა ქონება გაასხვისა თამარ კინწურაშვილმა?! 5

## საქართველოში ბავშვიც კი არ ყოფილა ღირებული!!! 7




# ბოდბელი მეუფე იაკობი გადადგა მაგრამ... დარჩა!

**მეუფე** **იაკობი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსობის გარდა, საფინანსო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეობიდანაც გადადგა.**

როგორც მეუფე იაკობმა აღნიშნა, გადაწყვეტილების შესახებ პატრიარქს თავად აცნობა.

**„ვიყავი მოსული სპეციალურად, რომ მენახა უწმინდესი და ჩემი გადაწყვეტილების შესახებ მეთქვა. მივიღე გადაწყვეტილება გადავდექი ქორეპისკოპოსობიდან და საფინანსო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეობიდან. ეს არის ჩემი პირადი გადაწყვეტილება. თუმცა, ვრჩები ეპარქიაში“,** — განაცხადა მეუფე იაკობმა.

# 20-21 ივნისის საქმეზე 16 პირი, მათ შორის მაკო გომური სასამართლომ დაზარალებულად არ სცნო

**თბილისის** საქალაქო სასამართლომ 20-21 ივნისის საქმეზე 16 პირიდან დაზარალებულად არც ერთი არ სცნო. მათ შორის არც მაკო გომური.

„ინტერპრესნიუსი“ საიას იურისტ რეზო აჭარაძის კომენტარზე დაყრდნობით წერს, რომ მათი საჩივარი 16 ადამიანის დაზარალებულად ცნობას მოიცავდა, რომელთაგან 8 ჟურნალისტი, 8 კი სამოქალაქო პირი იყო. საიას საჩივარი სასამართლომ 25 ოქტომბერს არ დააკმაყოფილა, დასაბუთებული განაჩენი კი დღეს ჩაბარდათ.

იურისტის განცხადებით, პროკურატურამ აღნიშნული პირების დაზარალებულად ცნობაზე უარი განაცხადა, სასამართლო კი ბოლო შანსი იყო. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ 20-21 ივნისს დაზარალებულებისათვის სტატუსის მინიჭებლად სასამართლოს 11 ოქტომბერს მიმართა. საია სასამართლოში პროკურატურის დადგენილების გაუქმებას და 20-21 ივნისს დაზარალებული 16 მოქალაქისთვის, მათ შორის 8 ჟურნალისტისთვის, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდა.

# გემიდან პირველი გარბიან ვირთხები, მე კაპიტანთან დარჩენას ვარჩევდი

**მე** **კაპიტანთან დარჩენას ვარჩევდი, რატომღაც ეგ უფრო მაინტერესებს. ყველაფერი კარგად იქნება,** — წერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

**„ცნობილი იყო და ხშირად დაწერილა კიდეც, რომ გემიდან პირველი გარბიან ვირთხები (რომლებსაც მოეჩვენათ, რომ დროა, თავს უშველონ). ბოლომდე კი რჩება კაპიტანი. რაც უნდა იყოს, მე კაპიტანთან დარჩენას ვარჩევდი, რატომღაც ეგ უფრო მაინტერესებს. ყველაფერი კარგად იქნება“,** — წერს ანდრია ჯაღმაიძე.

# <u>საპატრიარქოს იურისტი:</u> გარკვეულ ძალებს უნდათ, მეუფე იაკობი მეუფე შიოსა და ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდეს...

**მრჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ პირებს, თუ ძალებს უნდათ მეუფე იაკობის დაპირისპირება როგორც მეუფე შიოსთან, ასევე ბიძინა ივანიშვილთან,** — ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ განაცხადა.

მისი თქმით, მეუფე იაკობს ძალიან ბევრი რამ აქვს გაკეთებულ, როგორც საქართველოს საპატრიარქოსთვის, ისე ამ ხელისუფლებისთვის.

**„ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ მისი დემონიზება და მტრად გამოცხადება იქნება არასწორი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მეუფე იაკობის დაპირისპირება უნდათ გარკვეულ პირებს, თუ ძალებს, როგორც მეუფე შიოსთან, ასევე ბიძინა ივანიშვილთან. ვის უნდა და ვის არ უნდა, ეს არ ვიცი“,** — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

# <u>გიორგი კვირიკაშვილი:</u> პატრიარქის წინააღმდეგ არასდროს წავსულვარ

**საქართველოს** ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მეუფე იაკობის განცხადებასთან დაკავშირებით მცირე კომენტარს აკეთებს. როგორც მან imedinews-ს განუცხადა, ის პატრიარქის წინააღმდეგ არასდროს წასულა.

**„არასდროს წავსულვარ პატრიარქის წინააღმდეგ“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და დასძინა, რომ ამ თემის შესახებ მეტი კომენტარის გაკეთებას არ აპირებს. მანამდე მეუფე იაკობმა უხამსი სიტყვებისთვის მოიბოდიშა, თუმცა განაცხადა, რომ მაღალჩინოსნებზე ნათქვამს ისევ ადასტურებს. მეუფე იაკობმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში თქვა, რომ „ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სუს-ის ყოფილი უფროსი ვახტანგ გომელაური და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი გახარია მას პატრიარქის გადაყენებაში დახმარებას სთხოვდნენ. მისი თქმით, შეხვედრაში ასევე მეუფე თეოდორე, მეუფე გრიგოლი და მეუფე პეტრე მონაწილეობდნენ.

# ქართველი სამხედროები ავღანეთში გააცილეს

**თავდაცვის** მინისტრმა ქართველი მშვიდობისმყოფელები ავღანეთში გააცილა. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, გორში, პირველი ქვეითი ბრიგადის ბაზაზე, სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედროების გაცილების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი დაესწრო. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითო ქვეყანაა, რაც ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, სწორედ ქართველი სამხედროების დამსახურებაა.

სიტყვით გამოსვლისას თავდაცვის მინისტრმა სამხედროებს მისი გეგმები გააცნო, რაც აღჭურვილობისა და ეკიპირების, ასევე სოციალური, ინფრასტრუქტურული და სადაზღვევო პირობების გაუმჯობესებას გულისხმობს. რამდენიმე დღეში I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონი ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, ხოლო II ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეული ქაბულში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შტაბ-ბინაში სამშვიდობო ოპერაციების შესრულებას შეუდგებიან.

# მეუფე იაკობის განცხადება გიორგი გახარიას წინააღმდეგ დაწყებული კამპანიაა!

**თბილისის** მერი კახა კალაძე მეუფე იაკობის განცხადებასთან დაკავშირებით არ გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება პრემიერ- მინისტრ გიორგი გახარიას წინააღმდეგ კამპანიის ნაწილი იყოს.

**„მგონია, რომ ეს არის მცდელობა, მთავრობასა და**

# ᲐᲠ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲓᲔᲑᲘᲡ...

## ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐ!..



**ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ �თᲣ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ. ᲡᲐᲓᲐᲕᲔᲔᲑᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲣᲞᲧᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲡ.**

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) სამართლის და სამართლიანობის უჯრედში გამოკეტვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბატონი ნაცვლიშვილი „პარტნიორების რჩევებს“ ასახელებს. ეს „ახსნა“ პირველად არ გვესმის, მაგრამ ვერ ვხვდები, დღეს რა მოსატანი იყო. **აკი, დავამთავრეთ კოჰაბიტაციაო?** მოდით, პირდაპირ, „გაჭრილად“ დავსვათ ერთი მეტად საინტერესო და ყველასთვის მნიშვნელოვანი კითხვა — **პარტნიორების გადარწმუნება გვიჭირს, თუ ეს არა რჩევა, არამედ რაღაც სხვა მიზეზით წამოყენებული მოთხოვნაა?** მე უფრო მეორე მგონია და შევეცდები, ჩემი „ეჭვები“ არგუმენტირებულად გაგაცნოთ. მანამდე, აზრის მობილიზების მიზნით, რამდენიმე ე.წ. რიტორიკულ შეკითხვას შემოგთავაზებდით:

1. პარტნიორები დასავლეთიდან რატომ უნდა „გვირჩევდნენ“ იმას, **რასაც თავის ქვეყნებში არაფრის ფასად არ გააკეთებდნენ?**

**2. პარტნიორებს დასავლეთიდან ხომ ჩვენზე კარგად მოეხსენებათ, რომ დემოკრატია მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს მონაპოვარი შეიძლება იყოს, ანუ სახელმწიფოსი, სადაც სამართალი განსაზღვრავს პოლიტიკას და არა პოლიტიკა სამართალს?**

3. პარტნიორებს დასავლეთიდან ისიც ხომ ჩვენზე კარგად მოეხსენებათ, **რომ სადაც არ არის სამართლიანობა, არ არის მშვიდობა?**

გარდა აღნიშნულისა, სრულიად დარწმუნებულმა შემიძლია ვთქვა, რომ „არ გათეთრდების ყორანის“ შესატყვისი, სხვადასხვა ინტერპრეტაციით, საუკუნეებგამოვლილი გამოცდილების საფუძველზე, პარტნიორთა ლექსიკაშიც მრავლად უნდა მოიძევებოდეს და ისიც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქტუალობას, მაღალ ხარისხში, იქაც ჯერ კიდევ ინარჩუნებს...

კითხვების ნუსხა გრძელია, მაგრამ მთავარი სათქმელის ჩამოსაყალიბებლად ეს სამიც სრულიად საკმარისია. აქვე, აუცილებლად მიმაჩნია, დაზუსტდეს ცნება, „პარტნიორებში“ ვინ და რა უნდა იგულისხმებოდეს, რასაც ანალიზის დასკვნით ნაწილში მოგახსენებთ. მანამდე, თქვენის ნებართვით, ბრჭყალებში ჩასმულს „გაახლებთ“ ხოლმე.

ჩემი ღრმა რწმენით, „პარტნიორების“ „რჩევას“ ორი, ერთი შეხედვით სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთისგან გამომდინარე მიზეზი უდევს საფუძვლად:

**1. „პარტნიორებს“ კატეგორიულად არ სურდათ (და არ სურთ) იმის აღიარება, რომ მათი პროექტი ჩავარდა და შეპირებული „დემოკრატიის შუქურის“ ნაცვლად ქართველ ხალხს და დემოკრატიული განვითარების გარდამავალ ეტაპზე მყოფ სხვა სახელმწიფოებს (როგორც მაგალითი) „ხელში შეაჩჩეს“ შუა საუკუნეების სისხლიანი მმართველობა.** ამ დანაშაულის ტოლფასი შეცდომის ჯიუტად არაღიარების ნათელი („ბნელი“ უფრო მიესადაგებოდა) მაგალითია **NDI-ის უპასუხისმგებლობისა და უტიფრობის ყოველგვარ ზღვარს გადასული „მოღვაწეობა“,** რასაც ის საქართველოში დემოკრატიის განვითარებაში მხარდაჭერას უწოდებს (აქვე ვაანონსებ შემდეგი წერილის სათაურს — **„NDI საქართველოს წინააღმდეგ“**);

2. პოლიტიკური პროცესი მთლიანად იყო დაცლილი ობიექტური ანალიზისა და ობიექტური შეფასებებისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ **„რეფორმა“, როგორც მაშინდელი ხელისუფლების, ისე „პარტნიორების“ მხრიდან, სუბიექტური ინტერესებით იყო მართული.**

„ნაცმოძრაობის“ ეპოქაში ე.წ. ელიტური კორუფცია რომ ჰყვაოდა, ამას უკვე სასამართლო განაჩენებიც ადასტურებენ, მაგრამ ეს ათეულობით მილიონი რა მოსატანია იმ მასშტაბებთან, რაც ძიების არეალში, ამა თუ იმ მიზეზით, ჯერ არ მოხვედრილა.

აგვისტოს ომის თემაზე ჩემს არაერთ წერილში ღიად ვსაუბრობდი, წინასწარ წაგებული ომის პროვოცირება რა ხეირის მომტანი უნდა ყოფილიყო სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის, **გარდა იმისა, რომ „ყოფილი“ კაგებეშნიკების ჯგუფმა (მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია, გრიგოლ ვაშაძე, სანდრა რულოვსი, კახა ბენდუქიძე და სხვ.) ამ მრავალსაფეხურიანი, დროში გათვლილი, მოღალატეობრივი ავანტიურით რუსული დავალება შეასრულა, ორი დიდი სარგებელიც მიიღო — გაიმყარა პოზიციები ხელისუფლებაში** (რომ არა ბიძინა ივანიშვილი, დღესაც ფაშისტურ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში მოგვიწევდა ცხოვრება); **ერთდღიან(!) ომზე ჩამოწერა პარტიულ თუ პირად ყულაბებში გადაქაჩული დიდი ფული — მილიარდები.**

კარგად მესმის, რომ ბეწვის ხიდზე გავლის ტოლფასია მრავლისშემძლე „პარტნიორების“ მისამართით პრეტენზიების წაყენება. მით უმეტეს, რთულია მათი სუბიექტურ ინტერესებში დადანაშაულება, მაგრამ **ასწლეულების გამოცდილებამ გვასწავლა, რომ პრობლემების დაძლევის ყველაზე ეფექტური საშუალება სიმართლეა. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესისადმი გარკვეული დასავლური ჯგუფების დამოკიდებულება ლოგიკის ჩარჩოებს სცდება და მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს ქვეყნისა და ხალხისთვის.** სწორედ რომ — „გარკვეული დასავლური ჯგუფების“...

**ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲯᲠᲝ, „ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ „ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲐ** (ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲢᲠᲐᲒᲘ-ᲙᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲨᲔᲘᲫᲔᲜᲓᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲠᲝᲛᲐᲐ — „ᲑᲘᲫᲘᲐ-ᲑᲐᲑᲣᲐ“ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲔᲡᲐᲙᲜᲔ, ᲔᲠᲗᲘ ᲮᲕᲠᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲘᲪᲔᲣᲚᲘᲗᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲕᲠᲔᲚᲘᲗᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲭᲣᲠᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲧᲝᲤᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ), **ᲕᲘᲢᲧᲝᲓᲘ, ᲫᲛᲔᲑᲝ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲫᲛᲝᲜᲘᲐ-ᲛᲔᲗᲫᲘ, ᲐᲕᲘᲙᲠᲔᲤᲓᲘ ᲒᲣᲓᲐ-ᲜᲐᲑᲐᲓᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲨᲔᲕᲔᲮᲘᲖᲜᲔᲑᲝᲓᲘ, ᲡᲐᲓᲛᲔ, ᲛᲗᲔᲑᲨᲘ...**

„პარტნიორების“ ჩემეული დეფინიცია — „გარკვეული დასავლური ჯგუფები“ — მეტი სიზუსტისთვის კიდევ ერთი სიტყვის დამატებას მოითხოვს — **„გარკვეული დასავლური ინტერეს-ჯგუფები“.**

ზემოთ „ნაცების“ მობრუნება ვახსენე (და არა „ნაცების“ გადარჩენა), რაც სიტუაციის გამძაფრების მიზნით არ გამიკეთებია. როცა შენს („პარტნიორების“) მიერ ხელდაფარებული პერსონები და დაჯგუფებები ქვეყანას თვითმიზნურად ნეგატივის საბურველში ხვევენ **(დასავლური კომპეტენტური ინსტიტუტების შეფასებების საპირისპიროდ),** ირგვლივ სიძულვილს სთესენ და საზოგადოებას ორ დაპირისპირებულ ბანაკად ყოფენ და ამას არ იმჩნევ, უფრო მეტიც, ამის წახალისებას ახდენ, რადგან კვლავაც გასცემ რეკომენდაციებს ამ მავნებლური საქმიანობების მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მეტი რა უნდა ვიფიქროთ?

როცა იცი (არ შეიძლება, არ იცოდე), რომ შენი შუამდგომლობით ყველაზე უხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოები მრავალ დანაშაულში მხილებული ყოფილი მმართველი პარტიის ჩვეულებრივი სტრუქტურული ქვედანაყოფები არიან და როგორც მატერიალურად, ისე მორალურად ისევ ეხიდები მათ საქმიანობას;

როცა სისხლის სამართლის მრავალი მუხლით გასამართლებულ სახელმწიფო დამნაშავეებს (სააკაშვილი, კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვები) კალთას აფარებ (ექსტრადიციისგან იცავ) და ამით ხელს უწყობ პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობას, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, რევოლუციური პროცესების ორგანიზებისკენ არის მიმართული. უფრო მეტიც, უქმნი სასათბურე გარემოს ნაძარცვი ფულის ბრუნვისთვის, რათა დივიდენდი მიმართული იყოს იმ მედიაგარემოს ჩამოსაყალიბებლად, რაც უზრუნველყოფს „ტვინების გამორეცხვის“ მექანიზმების გამართულ მუშაობას;

როცა დეზინფორმაციას, დესტრუქციას, საბოტაჟისკენ მოწოდებებს, დაუმორჩილებლობისკენ მოწოდებებს, შეურაცხყოფას, ცილისწამებას, ლანძღვა-გინებას და სხვა მრავალ უკადრებელს პლურალიზმს და გამოხატვის თავისუფლებას უწოდებ;

როცა სისტემატურად ატარებ ყალბ კვლევებს და უსირცხვილოდ ცდილობ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, ეწევი ნაცშტაბებად ქცეულ ოფისებში წინასწარ დაწერილი ციფრებისა და სხვა სიყალბეების პროპაგანდას;

როცა მუდმივად „გავიწყდება“ საერთაშორისო ავტორიტეტული ინსტიტუტების კვლევებზე და შეფასებებზე აზრის გამოთქმა;

როცა... როცა... როცა...

**ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲤᲘᲥᲠᲝᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ?**

როცა შენივე რეკომენდაციით სამხედრო დახმარების მიზნით გამოყოფილი რამდენიმე მილიარდი დოლარის „შეიარაღება“ ერთდღიან კაპიტულანტურ ომში უკვალოდ ქრება და ამის გამო ეჭვებიც არ გიჩნდება;

როცა აგვისტოს „ომთან“ დაკავშირებით ოფიციალური, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტების მიერ (კონდოლიზა რაისი, რიჩარდ მაილსი, ჯონ მაკკეინი, ტალიავინის კომისია, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და სხვ.) გაკეთებული მძიმე დასკვნების საპირისპიროდ, ნაცვლად იმისა, რომ რეჟიმის შეცვლის რეკომენდაცია გაგეცა, ისევ სააკაშვილისა და მისი მოღალატე ხელისუფლების გადარჩენისთვის ზრუნავ და შენი ქვეყნის ხელისუფლებისგან დამატებით 4,5 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითხოვ, რათა დამნაშავეებს გაუმყარო პოზიციები.

**რა ვიფიქროთ?!**

**ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲘᲫᲘᲗ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ (ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲣᲚᲬᲐᲠᲧᲕᲘᲚᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠᲗ), ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲛᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲚᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲕᲮᲣᲭᲐᲕᲗ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝᲓ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕᲗ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲠ „ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲗ“ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ“ ᲔᲚᲩᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲠᲘᲗᲘᲗᲐᲪ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲗ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ.**

(ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲚᲩᲝᲑᲘᲡ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲘ, ᲐᲮᲐᲚ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ „ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ“ �გᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲓᲐᲜᲐᲙᲘ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲡ).

**ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲕᲐᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲕᲐᲜᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲝᲑᲝᲑᲐ ᲪᲜᲔᲑᲐ „ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ“ ᲓᲘᲡᲙᲠᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲩᲔᲜᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐ-**

**ᲔᲠᲗᲝ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲙᲘ, ᲐᲠᲐᲗᲣ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ — ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝᲐ(!).**

ნაცვლად იმისა, რომ „გარკვეულ დასავლურ ინტერესჯგუფებს“, დამნაშავეების არდასჯის (პიროვნული გადარჩენის) „რჩევის“ სანაცვლოდ, ეზრუნათ (პასუხისმგებლობა ეკისრათ) ქართული პოლიტიკის პათოლოგიური ნარჩენებისგან გათავისუფლებაზე, აღმოჩნდა, რომ ისევ, ამ უკვე ყავლგასული „მეორადი საქონლის“ სარფიანად გამოყენებაზე ამყარებენ გეგმებს. **მრავალგზის დისკრედიტირებული პრინციპი — „ის დიდი ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალაა“ — კვლავაც მოქმედებაშია.**

...შენ კი, „ქართულო ოცნებავ“, მილიარდებთან შეთამაშებული ადამიანების ბრძოლას შვიდი წლის წინანდელი სტატუს-კვოს აღსადგენად ეგრე იოლად ნუ უყურებ. კმარა „პარტნიორების“ დაკრულზე თამაში. უფრო სწორად, კმარა „ლობიოობის“ ყოველგვარი ჯანსაღი ლოგიკიდან ამოვარდნილი „რჩევებით“ გამართლება. **ხალხს უსმინე, იმ ხალხს, ტირანიასთან ბრძოლაში უშიშრად რომ ამოგიდგა მხარში.**

**ხალხი ითხოვს სამართლიანობას და სამართალს, რადგან ხალხს მშვიდობა სწყურია.** მშვიდობა კი მანამდე ვერ გამოანათებს, ვიდრე ქვეყანა დაუნახაობის, უმადურობის, უსიყვარულობის ნისლში იქნება გახვეული, ვიდრე მტრობა, სიძულვილი, შეურაცხყოფა და ზოგადად — ნეგატივი იქნება წახალისებული, იქნება ჩვენი ყოველდღიურობის მთავარი ხაზი და ნიშანი.

**ფაქტებს და მოვლენებს უნდა დაერქვას თავისი სახელები. ნაცისტურ-ბოლშევიკურ რეჟიმს უნდა მიეცეს პოლიტიკური შეფასება. უნდა მოიხსნას მორატორიუმი რეჟიმზე პასუხისმგებელ პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე.**

**სხვა შემთხვევაში „კოჰაბიტაცია დასრულდა“ — სიყალბე, თავის მოტყუება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა იქნება.**

**საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი ერთი წელი დაგვანახვებს მომავლისკენ მივდივართ თუ წარსულისკენ. სადავეები „ქართულ ოცნებას“ უპყრია და არავის სხვას.**

**მოქმედების დროა!**

**ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ,**

24.10.2019

# ცხინვალის დე ფაქტო ხელის-უფლება რუკების ომისთვის ემზადება

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ ატოცთან ქართული საგუშაგოებისა და პოლიციის ყოფნა შეიარაღებულ დაპირისპირების რისკს ქმნის, „2020NEWS“-თან აფასებს.

**„ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება შეგნებულად ამძიმებს სიტუაციას, რათა ჟენევის შეხვედრების კონტექსტში სალაპარაკო ჰქონდეთ. ასეთ რაღაცეებს ისინი სულ აკეთებენ“,** — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ექსპერტის განცხადებით, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას ქართულ მხარესთან რუკების ომის გამართვა სურს. მამუკა არეშიძის თქმით, ჟენევის ბოლო მოლაპარაკებაზე სეპარატისტულმა მხარემ 1922 წლის რუკა წარადგინა და მოითხოვა, რომ ამ რუკით განისაზღვროს საზღვარი.

**„ქართული მხარე რასაც აქამდე აკეთებდა, ის უნდა გააკეთოს. ქმედება, რომელიც იქითა მხრიდან ხორციელდება, უკანონო და ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევაა. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ემზადება, რომ ქართულ მხარესთან ე.წ რუკების ომი გამართოს. ჟენევის ბოლო მოლაპარაკებაზე პირველი შემთხვევა იყო, როდესაც 1922 წლის რუკა გამოაჩინეს და ითხოვდნენ, რომ ამ რუკის მეშვეობით, „მოწესრიგდეს“ საზღვრის საკითხი. რასაკვირველია, ქართულ მხარეს არც დაუპირებია და არც აქვს უფლება, რომ შესაბამისი ნაბიჯი გადადგას. ანუ რუკებით დაიწყოს სეპარატისტებთან საუბარი. იმიტომ რომ ეს ირიბად მიანიშნებს ცხინვალის დამოუკიდებლობას. ასეთი ტიპის განცხადებებით ცდილობენ, როგორმე აიძულონ ქართული მხარე, რომ საზღვარზე მოლაპარაკება დაიწყოს“,** — განუცხადა მამუკა არეშიძემ „2020NEWS“-ს.

შეგახსენებთ, საუკუპაციო რეჟიმის ე.წ.უშიშროების კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელმა ეკატერინა ბიაზროვამ განაცხადა, რომ ქართული უსაფრთხოების ძალები ფართომასშტაბიანი პროვოკაციის მოსაწყობად ემზადებიან. **„სოფელ კოდაში, აბანოში, კობში, წაღვლსა და ატოცში არსებულ საზღვართან ზღუდავენ ქართველი აქტივისტების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გადაადგილებას, რათა თავიდან აიცილონ იქ არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასება. სამხრეთ ოსეთის დასახლებასთან ქართული საგუშაგოებისა და პოლიციელების ყოფნა სამხედრო საფრთხის რისკებს ზრდის, რამაც შესაძლოა, შეიარაღებული შეტაკება გამოიწვიოს,“** — განაცხადა ბიაზროვამ.

# დაკარგული პასპორტის შეცვლის პროცედურები 1 ნოემბრიდან იცვლება

**დაკარგული** **პასპორტის შეცვლის პროცედურები იცვლება. შესაბამისი ცვლილებები იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში №98, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესს არეგულირებს, პირველი ნოემბრიდან შევა ძალაში.**

როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში აცხადებენ, ახალი რეგულაციების მიზანი დაკარგული და გაუქმებული დოკუმენტების ბოროტად გამოყენების პრევენციაა.

**„საკანონმდებლო სიახლე, ერთი მხრივ, იცავს საქართველოს მოქალაქეებს დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში მათი პირადი მონაცემების არაკეთილსინდისიერი გამოყენებისგან, მეორე მხრივ კი, მიმართულია საქართველოს უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის — ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შენარჩუნებისკენ, რასაც უკანონოდ, სხვისი დოკუმენტით საზღვრის კვეთამ ან კიდევ ევროპულ სივრცეში რამდენიმე პასპორტით მოძრაობამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას“,** — ცვლილებების თანახმად, საქართველოს მოქალაქემ, პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამართალდაცავ უწყებას ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს და მიიღოს მათგან პასპორტის დაკარგვის (ან მოპარვის) შესახებ საჩივრის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა, რომელიც, კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს ახალი დოკუმენტის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ აღებულ ამ ტიპის ცნობას ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება არ დასჭირდება.

ახალი პასპორტის ასაღებად პასპორტის დაკარგვის (ან მოპარვის) შესახებ საჩივრის ჩაბარების ცნობა, სხვა დოკუმენტებთან ერთად, საქართველოში მყოფმა მოქალაქემ უნდა წარადგინოს სერვისების განვითარების სააგენტოში, საზოგადოებრივ ცენტრებში ან იუსტიციის სახლებში, საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქემ კი — საქართველოს საელჩოში ან საკონსულოში.

მოქალაქის მიერ შესაბამისი საბუთების ჩაბარების შემდეგ, სერვისების განვითარების სააგენტო გააუქმებს დაკარგულ (მოპარულ) პასპორტს, მისი გაუქმების შესახებ პერსონალური მონაცემების სტანდარტის დაცვით ინფორმაციას მიაწვდის ინტერპოლს და მოქალაქეზე გასცემს ახალ პასპორტს.

ახალი რეგულაციები არ გავრცელდება პირველ ნოემბრამდე შეტანილ განცხადებებზე.

## ბაქო-თბილისი-ბაქოს მარშრუტზე ჩქარმავალი მატარებელი ივლის

**„აზერბაიჯანის რკინიგზამ“ ბაქო-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალზე, ჩქარმავალი მატარებლების გაშვების შესახებ განაცხადა. XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოებული ჩქარმავალი მატარებელი Prima M4 ბაქო-თბილისი-ბაქოს მარშრუტზე 24 ოქტომბრიდან ოპერირებს.**

**მატარებელი მარშრუტის დაფარვას 12.15 საათს ანდომებს. ბაქო-თბილისი-ბაქოს მარშრუტზე „აზერბაიჯანის რკინიგზა“ ოპერირებას კვირაში 7 სიხშირით ახდენს. მატარებლის ბილეთის ღირებულება 23 აზერბაიჯანული მანათიდან იწყება. ბილეთების შეძენა შესაძლებელია, როგორც თბილისი ცენტრალში, ასევე ონლაინ.**

## საქართველოს ტურისტული პოტენციალი — იაპონიის საერთაშორისო გამოფენაზე

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ იაპონიაში, ტოკიოში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე JATA Tourism Expo მიიღო მონაწილეობა.**

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად გამოფენაზე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ქუთაისის მერია, ასევე 7 ტურისტული კომპანია და სასტუმრო იყო წარმოდგენილი.გამოფენის ფარგლებში

სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, საქართველოს სტენდთან გაცნობოდნენ ტურისტულ პროდუქტებს.

B2B ფორმატის ფარგლებში კერძო სექტორის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, იაპონელ კოლეგებთან საქმიანი ურთიერთობები დაემყარებინათ.

გამოფენის ფარგლებში საქართველოს შესახებ პრეზენტაცია მოეწყო, გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, სტუმრებს საქართველოს სტენდთან ჩურჩხელით გაუმასპინძლდნენ. JATA Tourism Expo მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გამოფენაა, რომელსაც 150-ზე მეტი ქვეყნის და რეგიონის რამდენიმე ათასი ტურისტული კომპანიის, სასტუმროს და ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრება. 4-დღიან გამოფენას იაპონიაში 150 ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია.

## სადრენაჟო სისტემის მასშტაბური რეაბილიტაცია განხორციელდა

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. სნოს, აჩხოტისა და გორისციხის მოსახლეობას სადრენაჟე სისტემის გაუმართაობის გამო ათეულობით წელია, ჭარბი წყლის პრობლემა აწუხებდა, რაც შეუძლებელს და არაეფექტიანს ხდიდა ისედაც მცირემიწიან რაიონში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. სამხარეო ადმინისტრაციის თხოვნით, გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს მელიორაციამ მასშტაბური სამუშაოები განახორციელა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. დღეისთვის გაწმენდილია 6,5 კმ სიგრძის სადრენაჟე არხი. გარემონტდა, ხშირ შემთხვევაში კი თავიდან აშენდა კოლექტორული მიმღებები და სრულად მოწესრიგდა სადრენაჟე ინფრასტრუქტურა.**

შედეგად 45 ჰექტარი ფართობი გათავისუფლდა ჭარბი წყლისგან და შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის მისი გამოყენება. ჩატარებული სამუშაოების გასაცნობად და მოსახლეობასთან შესახვედრად ყაზბეგის რაიონს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი შალვა კერესელიძე, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელი დავით წითლიძე და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი ოთარ შამუგია ეწვივნენ.

## შრომის კოდექსის რეფორმის ფარგლებში საჯარო შეხვედრები იმართება

**შრომის კოდექსის რეფორმის ინიციატორები შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვისა და ქალთა უფლებების გაძლიერების საკითხებზე მსჯელობენ. შრომის კოდექსის რეფორმის ფარგლებში ეს რიგით მეორე საჯარო შეხვედრაა.**

კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორი დიმიტრი ცქიტიშვილი დაინტერესებულ მხარეებთან განიხილავს კოდექსში შესატან ცვლილებებს. დისკუსიის მთავარი თემა შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა და ქალთა უფლებების გაძლიერება, ასევე, დეკრეტული შვებულების ახლებური რეგულირებაა. ცქიტიშვილის თქმით, კერძო სექტორის დეკრეტული შვებულების პირობები უნდა დაუახლოვდეს საჯარო სექტორში მოქმედ პირობებს, სახელმწიფომ უნდა დაფინანსოს კერძო სექტორში დასაქმებულის დეკრეტული შვებულება ხელფასის 80%-ით.

დეპუტატის განცხადებით, **აქვს თუ არა ამის რესურსი სახელმწიფოს, ეს კონსულტაციების საგანია. „საჯარო შეხვედრების მიზანია, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა მოხდეს მხარეთა ფართო მონაწილეობით, დასაქმებულებისა და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით, რათა მაქსიმალურად დაახლოვდეს პოზიციები და მიღებული იქნას კომპრომისული, პროგრესზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები“,** — განაცხადა ცქიტიშვილმა.

# ჭარბად დანიშნული მედიკამენტები, გაზრდილი ფასები და დაზღვევა...

ჯანდაცვის სამინისტრო ფასების დარეგულირებასა და მედიკამენტების ჭარბად დანიშვნის კონტროლზე მუშაობს. ამის შესახებ მინისტრმა **ეკატერინე ტიკარაძემ** დაგეგმილი რეფორმის „მხოლოდ ერთობლივი სწორი ნაბიჯების დროა“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

**„ჩვენი მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია მედიკამენტების საკითხი. სწორედ ამ კომპონენტზე მოდის მათი ჯიბიდან დანახარჯების დიდი ნაწილი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, არსებობდეს, კონკრეტული სტრატეგია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვმუშაობთ ფასების დარეგულირებასა და მედიკამენტების ჭარბად დანიშვნის კონტროლზე.**

**ხარისხის კომპონენტში აქცენტს გავაკეთებთ წამლის რეგისტრაციასა და ბაზარზე დაშვების საკითხზე, რომლის აუცილებელი საფუძველი გახდება GMP სერტიფიკატი, მედიკამენტების რეგისტრაციისთვის გაჩნდება დამატებითი მოთხოვნები, რომელიც იქნება უსაფრთხოების გარანტი“,** — ირწმუნეა მინისტრი. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში დაფინანსების ახალი სისტემა იქნება, „რომელიც ითვალისწინებს ყველა კლინიკისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ტარიფების გათანაბრებას“.

**„პაციენტის ჯიბიდან გადახდების მაჩვენებელი ბოლო 7 წლის განმავლობაში 73%-დან 55%-ზე ჩამოვიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ კმაყოფილები არ ვართ, რადგან მოსახლეობას კვლავ ტვირთად აწევს სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტებზე გადახდილი თანხები.**

**დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში, ჩვენ დაფინანსების ახალ სისტემაზე გადავდივართ, რომელიც ითვალისწინებს ყველა კლინიკისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ტარიფების გათანაბრებას. ეს არის ფასწარმოქმნის მსოფლიოში აპრობირებული სისტემა, რომელიც დაწესებულებას თანაბარი კონკურენციის პირობებში აყენებს. ასევე, ბაზრის რეგულაციას და ხარისხის მართვას უზრუნველყოფს.**

აღნიშნული ინიციატივა, ქვეყნის მასშტაბით, გახდება ერთიანი სტანდარტისა და ხარისხის მოთხოვნის საფუძველი, რაც, უპირველეს ყოვლისა, იქნება პაციენტის ინტერესზე ორიენტირებული. ამავდროულად, ჩვენ რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ, რომ კერძო სექტორს უნდა მიეცეს მუდმივი განვითარების შესაძლებლობა, რაც ახალი ტარიფიკაციის **პირობებში, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ნამდვილად შესაძლებელი იქნება“,** — განაცხადა ტიკარაძემ.

ჯანდაცვის მინისტრის განმარტებითვე, ახალ სისტემას საფუძვლად ქვეყანაში არსებული ტარიფების ანალიზი დაედო.

**„ფასწარმოქმნისას გავითვალისწინეთ ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიც არის ცვლადი და ფიქსირებული ხარჯების თანაფარდობა, რეინვესტირების თანხები, მოგების მარჟა და ფასთა სხვაობის რისკები. 18 თვის შემდეგ შესაძლებელი იქნება მომსახურების მოცულობის და სიხშირის კოეფიციენტის განსაზღვრა, რაც დაფინანსების დიაგნოზთან შეჭიდულ მოდელზე სრულად გადასვლის შესაძლებლობას მოგვცემს“,** — აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის რა ქონება გაასხვისა თამარ კინწურაშვილმა?!

**ჟურნალისტური მოკვლევა**

**საზოგადოებრივი** მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი, შემდგომში გიგა ბოკერიას მოადგილე და ოდნავ უფრო მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი თამარ კინწურაშვილი, რომელმაც თავი ტელევიზიის დახლართული ლოგოთი დაგვამახსოვრა (სხვათა შორის, ბიუჯეტს არხის „რებრენდინგი“ 800 ათას ლარამდე დაუჯდა), „სატელევიზიო მოღვაწეობის“ პერიოდში აქტიურად იყო დაკავებული საზმაუს პირველი არხის ქონების გაყიდვით.

**საინფორმაციო-შემეცნებითმა პორტალმა NSP.GE-მ** აწარმოა ჟურნალისტური მოკვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქონება გაასხვისა თამარ კინწურაშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორობის დროს და რა ფასად.

**გარდა ამისა, პორტალი NSP.GE დაინტერესდა კინწურაშვილის დროს ხალხის მიერ დაფინანსებული ტელეკომპანიის ბიუჯეტიდან გაწეული სხვადასხვა ხარჯების, მათ შორის სასაჩუქრე ხარჯების კუთხით, რომელსაც მოგვიანებით შემოგთავაზებთ, მანამ კი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მფლობელობაში მყოფი იმ მსხვილი ობიექტების შესახებ, რომელიც ქალბატონი თამარ კინწურაშვილის მმართველობის დროს გასხვისდა.**

**ამასთან, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქონებების გასხვისება და სარეალიზაციო ფასები ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, რაც, ჩვენი შეფასებით, შესაბამისი უწყებების დაინტერესების საგანი უნდა გახდეს.**

**მაშ ასე:**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონის თანახმად, ქალბატონი თამარ კინწურაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის თანამდებობას 2005 წლიდან 2008 წლის თებერვლამდე იკავებდა.

**საინფორმაციო-შემეცნებით პორტალ NSP.GE**-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ პერიოდში მან ტელეკომპანიის მფლობელობაში არსებული **ხუთი მსხვილი** ობიექტი გაასხვისა:

## ობიექტი №1

— 2006 წლის 25 აგვისტოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააფორმა ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ. ობიექტის მდებარეობა — ძველი თბილისი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №12/7. აღნიშნულ მისამართზე გასხვისებული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენდა 395 კვადრატულ მეტრს, ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სასარგებლო ფართობი 421 კვადრატულ მეტრს. გაყიდული ობიექტის სარეალიზაციო ფასი — 218 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ანუ გამოდის, რომ ქალბატონმა თამარ კინწურაშვილმა ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი აღნიშნულ ისტორიულ უბანში დაახლოებით 551 დოლარად გაასხვისა, ხოლო ამ ნაკვეთზე არსებული 421 კვადრატული მეტრის სასარგებლო ფართის მქონე შენობა შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მყიდველს უსასყიდლოდ(?!) გადასცა. თუ აღნიშნულ ლოკაციაზე ერთი კვადრატული მეტრი მიწის საშუალო ფასს გავითვალისწინებთ, დღეის მდგომარეობით ფასი 2000 დოლარს და ხშირ შემთხვევაში მეტსაც შეადგენს. სამწუხაროდ, საინფორმაციო-შემეცნებით პორტალ NSP.GE-ს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაში არ არის დიფერენცირებული მიწის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების სარეალიზაციო ფასი. ამ შემთხვევაში ერთი კვადრატული მეტრი მიწის სარეალიზაციო თანხა, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლები გამოვა.

## ობიექტი №2:

ძველი თბილისის პრესტიჟულ უბანში საზოგადოებრივი მაუწყებლის კუთვნილი მიწისა და შენობა-ნაგებობის გასხვისებიდან დაახლოებით თვენახევარში ქალბატონმა თამარ კინწურაშვილმა ტელევიზიის კუთვნილი კიდევ ერთი მსხვილი ობიექტი გაასხვისა.

ობიექტის ადგილმდებარეობა: დაბა ზაჰესი, მიწის ფართობი 3 018 კვადრატული მეტრი, მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ავტოტექმომსახურების ობიექტი, რომლის განაშენიანების ფართი 1 227,81 კვადრატული მეტრია, ხოლო სასარგებლო ფართი 838,73 კვადრატული მეტრი.

ქალბატონმა თამარ კინწურაშვილმა აღნიშნული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 44 130 დოლარად(?!) გაყიდა.

ანუ, როგორც წინა შემთხვევაში, თუ პირობითად ჩავთვლით, რომ კინწურაშვილმა შენობა-ნაგებობები მყიდველს აჩუქა, გამოდის, რომ მან ერთი კვადრატული მეტრი მიწა 14,6(?!) დოლარად გასხვისა... ვიმეორებთ! ამ თანხაში არ იგულისხმება შენობა-ნაგებობების ფართობი.

## ობიექტი №3:

2006 წლის 27 დეკემბერს (ახალ წლამდე 4 დღით ადრე) ქალბატონმა თამარ კინწურაშვილმა ამჯერად უკვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითად ლოკაციაზე არსებული (კოსტავას ქუჩა 3 68) მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა გაასხვისა.

მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი მაუწყებელი დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას მდებარეობს და ამ ადგილას გაყიდულ 1 720 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთიდან, ერთ კვადრატულ მეტრში მყიდველმა სულ რაღაც 621 დოლარი გადაიხადა, მაშინ, როცა აღნიშნულ ტერიტორიაზე ახლად აშენებულ მრავალსართულიან კორპუსებში საცხოვრებელი ფართის ერთი კვადრატული მეტრი დაახლოებით 1000 დოლარიდან იწყება. თანაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ქალბატონმა თამარმა დედაქალაქის ცენტრში ეს მიწა განვადებით(?!) გაყიდა.

ამასთან, როგორც წინა ორ შემთხვევაში, აღნიშნულ სარეალიზაციო თანხაში არაა ნაანგარიშევი მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობები და მისი ფასი...

რაც შეეხება თამარ კინწურაშვილის მიერ გასხვისებულ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეოთხე და მეხუთე ობიექტს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გაცილებით უფრო დიდ ობიექტებთან და შესაძლოა, სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელობის ობიექტთანაც კი. მათთან დაკავშირებით საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE მოკვლევის დასკვნით ეტაპზეა და მასალას უახლოესი ორი კვირის მანძილზე შემოგთავაზებთ.

**P.S. ვფიქრობთ, საინტერესოა, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომ ქალბატონ თამარ კინწურაშვილს აღნიშნული ობიექტები გაესხვისებინა, მაშინ, როდესაც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ამ პერიოდში უკვე საკმაოდ სერიოზულ დაფინანსებას იღებდა ბიუჯეტიდან. სავარაუდოდ, საქმე ფინანსური საჭიროების აუცილებლობასთან არ გვაქვს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქალბატონი კინწურაშვილი ობიექტებს განვადებით არ გაასხვისებდა.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE ჟურნალისტურ მოკვლევას აგრძელებს.**

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ?

**2019 წლის ოქტომბრიდან ქურთები მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ეს ყველაფერი კი თურქეთის სირიაში შეჭრით დაიწყო. ერდოღანის ამ გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად დაზარალდნენ სირიელი ქურთები, რომელთათვისაც თურქეთის ეს ნაბიჯი კატეგორიულად მიუღებელია. სწორედ ამიტომ ისინი ან იბრძვიან, ან გარბიან. ვინ არიან ქურთები? როგორია მათი არსებობის ისტორია? რა განსხვავებაა ქურთებსა და იეზიდებს შორის?**

## ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲘ?

**ᲩᲕᲔᲜ წელთაღრიცხვამდე პირველი და მეორე ათასწლეულების მიჯნაზე მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ახლანდელი თურქეთ-სირიის საზღვარი) ორი სამეფოს საზღვარი გადიოდა. ერთი მხრივ, იყო ხეთების სამეფო, მეორე მხრივ კი — მითანი, რომლის მოსახლეობაც ხურიტებისა და სემიტებისგან შედგებოდა.**

როდესაც ხეთების სამეფო დაიშალა, მისი მოსახლეობის შემადგენელმა განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებმა არსებობა დამოუკიდებლად დაიწყეს. ეს იყო სირიის სამთავრო, პროტოსომხები (ურარტუელები ან ხაიელები) და პროტოქართველები (ქალდები ან ქართები). თითოეული მათგანი თავისი გზით წავიდა. სადღაც ამ სირიულ სამთავროში დაიკარგა ეთნოსის დასაწყისი, რომელმაც ათასწლეულის შემდეგ არაბებისგან მიიღო სახელწოდება „ქურთები“. ამ დროიდან მოყოლებული, მესოპოტამიასა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ქურთების ქვეყანა — სპარსულად „ქურთისტანი“ ეწოდა.

## ᲡᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲘ?

**ᲓᲦᲔᲡ ქურთები მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი. თუმცა მათი ძირითადი საცხოვრებელი მაინც ქურთისტანია, რომელიც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს, სირიის ჩრდილოეთს, ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ირანის ჩრდილო-დასავლეთს მოიცავს. ქურთები კავკასიაშიც ცხოვრობენ. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთში. ისინი არიან რუსეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთშიც. ეს გეოგრაფიული გაფანტულობა ქურთების რთულ ისტორიას ასახავს, რაც მიგრაციას, დეპორტაციასა და გადასახლებას გულისხმობს. ქურთული ჯგუფები ცხოვრობენ ისრაელსა და ეგვიპტეშიც.**

ენა, რომელზეც ქურთები ლაპარაკობენ, ირანულ ჯგუფს მიეკუთვნება. ის სპარსულის, ოსურისა და ტაჯიკურის მონათესავეა. ქურთულში ორი ძირითადი დიალექტი არსებობს: ქურმანჯი (ჩრდილოეთი) და სორანი (სამხრეთი). რამდენადაც ქურთები დღეს უკვე არაბულ, თურქულ და სპარსულ ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან თანაცხოვრობენ, მათი ენა მეზობლების მეტყველების გავლენას განიცდის.

ქურთების უმრავლესობა მუსლიმი სუნიტები არიან. ისინი ისლამის მიმდევართა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან ფრთას მიეკუთვნებიან. ქურთებს შორის არიან ქრისტიანები და ათეისტები. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ეთნოსის წარმომადგენლებს რელიგიური ფანატიზმი არ ახასიათებთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ პერიფერიებში მცხოვრებ მოსახლეობას საკუთარი ადათ-წესები ჰქონდა და ისინი არაბული წარმომავლობის შარიათის კანონებს ყოველთვის არ ემორჩილებოდნენ.

## ᲘᲔᲖᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲠᲗᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲔᲗᲜᲝᲡᲘᲐ?

**ᲘᲔᲖᲘᲓᲔᲑᲘ განსაკუთრებული სინკრეტიკული რელიგიის მიმდევრები არიან. მათ რწმენას ძლიერი გნოსტიციზმი (მარტივად რომ ვთქვათ, ოკულტიზმი) ახასიათებს. იეზიდებს სწამთ თავიანთი ღმერთის — ხოდესა და მისი ემანაციის, ასევე — მთავარანგელოზ მალაკ თავუსის, რომელსაც ალეგორიულად ფარშევანგის ფორმით გამოსახავენ. იეზიდები პატივს მიაგებენ მათი ღმერთის მოციქულს, შეიხ შარიფ ადი იბნ მუსაფირს, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა.**

ზოგი იეზიდებს ქურთულ ეთნოსს მიაკუთვნებს, სხვები კი — პირიქით, მათ ქურთების მონათესავე ცალკე ერად მიიჩნევენ. მეოცე საუკუნეში განვითარებული დრამატული მოვლენების ფონზე, როცა ოსმანთა ხელისუფლებამ სომხებისა და ასირიელების მასობრივი გენოციდი მოაწყო, ქურთები და იეზიდები სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. მუსლიმი ქურთები თურქებთან ერთად გენოციდის შემსრულებლებად იქცნენ, იეზიდები კი — ქრისტიანებთან ერთად მსხვერპლის ამპლუაში აღმოჩნდნენ.

## ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ?

**ᲓᲘᲐᲮ, ქურთების რაოდენობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით 30 მილიონს აღწევს, თუმცა მათ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა ვერასდროს მოახერხეს. დიდი ხნის მანძილზე ქურთებს აღიარებული ავტონომიაც კი არ ჰქონდათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ქურთები მუდმივად ორი სამყაროს გასაყარზე ცხოვრობდნენ და თითოეული მათგანი ამ ეთნიკური ჯგუფის საცხოვრებელი სივრცის დამორჩილებას ცდილობდა.**

თავიდან იყვნენ ხეთები და ხურიტები, შემდეგ — რომაელები და სპარსელები, მოგვიანებით — არაბები, ირანელები და ხაზარები. მომდევნო პერიოდში გამოჩნდნენ ოსმანები (თურქები) და სპარსელები. შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსები ქურთებს ერად არ მიიჩნევდნენ, მათ კაზაკების მსგავს სოციალურ ჯგუფად თვლიდნენ და ყაჩაღებს ან საზღვრის დამცველებს უწოდებდნენ. შუა საუკუნეებში ქვეყნებს შორის საზღვრები არ იყო მკვეთრად გავლებული, ისლამის კონტექსტში კი ავტონომია წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ამიტომაც ქურთების საზღვარი არაბებთან, სპარსელებთან ან ოსმანებთან უფრო ცივილიზაციური იყო.

## ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲪᲓᲘᲐᲗ?

**ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲘ ამ მიზანთან თავიანთი არსებობის განმავლობაში ყველაზე ახლოს ოთხჯერ იყვნენ. პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ოსმანთა იმპერია დაიშალა. სევრის ხელშეკრულება ქურთების სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა კიდეც, მაგრამ ეს იდეა „დიდი თამაშის“ რთულ პერიპეტიებს ემსხვერპლა.**

მეორე შესაძლებლობა 1920-იან წლებში გაჩნდა. თურქეთიდან გაქცეული ქურთები კავკასიაში (მთიან ყარაბაღში) დასახლდნენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ბელადმა ვლადიმერ ლენინმა გადაწყვიტა „საბჭოთა ქურთისტანი“ შეექმნა. გაჩნდა ქურთული თვითმმართველობა, გამოიცა ქურთულენოვანი გაზეთები და წიგნები. თუმცა სტალინმა ეს ავტონომია გააუქმა. 1936-1944 წლებში კი მან ძალით გადაასახლა თითქმის ყველა საბჭოთა ქურთი ყაზახეთსა და ციმბირში, სადაც უმრავლესობა დაიღუპა.

მესამედ ქურთებმა ირანში საკუთარი ავტონომიის (მისი ცენტრი იყო ქალაქი მაჰაბადი) შექმნა შეძლეს 1941-1946 წლებში. ანალოგიური მცდელობა ჰქონდათ 1960-იანი წლების ერაყში. მაჰაბადის ავტონომია ირანელებმა გააუქმეს, ხოლო, როცა ერაყის ხელისუფლებაში სადამ ჰუსეინი მოვიდა, მან თავის ტერიტორიაზე არსებული ქურთული ავტონომია დაუნდობლად გაანადგურა. ჰუსეინმა ამისთვის ქიმიური იარაღიც კი გამოიყენა. საბოლოოდ ბაასისტური ერაყის დაშლისა და სირიის ტერიტორიაზე შექმნილი ქაოსის ფონზე ქურთებმა 2012-2016 წლებში სირიის ქურთისტანში თავიანთი სახელმწიფო — როჟავა (ქურთ. დასავლეთი) შექმნეს.

როჟავის შეიარაღებული ძალები, აშშ-ის მხარდაჭერით, სირიის დემოკრატიულ ძალებთან ალიანსში შევიდნენ და ისლამისტებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. დღეს კი ეს პროტოსახელმწიფო, ფაქტობრივად, ლიკვიდაციის პროცესშია სირიისა და თურქეთის ხელისუფლების მონაწილეობით, რასაც აშშ-ისა და რუსეთის მდუმარე თანხმობა ახლავს.

## ᲐᲥᲕᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲐ?

**1970-ᲘᲐᲜᲘ წლებიდან თურქთში მცხოვრებ ქურთებში მარქსიმზ-ტროცკიზმის იდეამ (ნაწილობრივ მაოიზმისაც) პოპულარობა მოიპოვა. თუმცა აქ ამ იდეოლოგიამ რადიკალური ელფერი შეიძინა. სწორედ ამიტომ ქურთების ნაწილმა თურქეთის ხელისუფლებასთან ბრძოლის გზად პირდაპირი ტერორი და შეიარაღებული დაპირისპირება აირჩია. ქურთისტანის მუშათა პარტია კი პარტიზანულ ბრძოლებს ჩაუდგა სათავეში.**

ერაყის, ირანისა და სირიის ქურთები კი ფიზიკურად დაიყვნენ. ერთი მხრივ, გაჩნდნენ ლეგალისტები და მეორე მხრივ — სეპარატისტები. თუ მასუდ ბარზანის მომხრეებს თავიანთ იდეალად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მიაჩნდათ, ლეგალისტები პირიქით — ირანისა და სირიის ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. ამ უკანასკნელთა მიზანი რაიმე სარგებლის მიღება იყო. ასე რომ, 1979 წელს ირანში ქურთებმა ისლამურ რევოლუციას დაუჭირეს მხარი იმ იმედით, რომ პრივილეგიებს მიიღებდნენ, რაც მათ შაჰის რეჟიმის პირობებში არ ჰქონდათ. თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა.

დღეს უკვე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქურთებს მხოლოდ დამოუკიდებლობაზე ოცნება აერთიანებთ. თუმცა ამ ნატვრასაც სხვადასხვა ჯგუფი განსხვავებულად აღიქვამს. თურქეთში მცხოვრები ქურთები ცალკე სახელმწიფოსთვის იბრძვიან. ირანელი ქურთები ავტონომიის მოპოვებას ცდილობენ. სირიელმა და ერაყელმა ქურთებმა კი როჟავა შექმნეს და ცალკე ცხოვრებისთვის იბრძვიან, თუმცა თავიანთი ეთნოსის სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც განიხილავენ.

# საქართველოში ბავშვიც კი არ ყოფილა ღირებული!!!

**საბავშვო ლიტერატურაში ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზე (ალმა) 2020 წელს წარდგენილ 237-კანდიდატიან სიაში 4 ქართველის სახელიცაა — მარიამ წიკლაური (მწერალი), ბონდო მაცაბერიძე (მწერალი, გამომცემელი), თეა თოფურია (მწერალი) და გიორგი ჩაჩანიძე (ილუსტრატორი). ნომინანტები წლევანდელი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, 17 ოქტომბერს დასახელდნენ. ალმას გამარჯვებული კი მომავალი წლის 31 მარტს გახდება ცნობილი. თუმცა, თავად ნომინანტები ფიქრობენ, რომ ამ პრემიის მოსაპოვებლად ქართველ საბავშვო მწერლებს ჯერ მცირე შანსი აქვთ. გრძელია გზაც, რომელიც ქართულმა საბავშვო ლიტერატურამ უნდა გაიაროს საიმისოდ, რომ ის საერთაშორისო ბაზარზე აღიარონ და ამას, როგორც აღმოჩნდა, ძალიან ბევრი მიზეზი აქვს.**




## უჩინარი ქართული საბავშვო ლიტერატურა და ასტრიდ ლინდგრენის პრემია



ალმას წლევანდელი ნომინანტი, საბავშვო მწერალი და პოეტი მარიამ წიკლაური იმ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ხშირად ჩივის ქართული საბავშვო ლიტერატურის სირთულეებზე და პრობლემებზეც ღიად ლაპარაკობს ხოლმე. ასტრიდ ლინდგრენის ჯილდოს **მიღება** უკვე გულისხმობს, რომ მსოფლიო გიცნობს და გკითხულობს. რომ შენ ხარ მსოფლიო მოქალაქე, და რომ შენს ქვეყანაში ბავშვი მთავარი ღირებულებაა, თუმცა აქამდე, მარიამის აზრით, საქართველოს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი.

***— ვინ წარადგენს კანდიდატებს ასტრიდ ლინდგრენის ჯილდოზე?***

— პრემიის ნომინანტებს საქართველოში პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა წარადგენს. შემდეგ საქმეში ალმას საბჭო ერთვება და ყოველ წელს ახალი სია დგება. ზოგჯერ ამ სიაში წინა წლის ნომინანტები ისევ რჩებიან, როგორც, მაგალითად, წლევანდელში თეა თოფურია. ამას თავად შვედები წყვეტენ.

პრემიის მფლობელს მომდევნო წელს, ბოლონიის საბავშვო წიგნის ფესტივალზე გამოავლენენ. დაჯილდოების ცერემონიალი კი სტოკჰოლმში იმართება ხოლმე, ყოველ 1 ივნისს. ასტრიდ ლინდგრენის ჯილდოს ოფიციალურ საიტზე წარდგენილი ავტორების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია გროვდება. მერე კი ამ თემით დაინტერესებული მთელი მსოფლიო ეცნობა მათ შემოქმედებას.

რა მოეთხოვება ავტორს? იყოს საინტერესო და თანამედროვე. მათი პოპულარიზაციისთვის კი ლიტაგენტების მთელი არმია მუშაობს. ქართველი ავტორებისთვის ეს ფუფუნებაა.

**„მათ არა აქვთ ჩვენსავით მარტოობის შეგრძნება. ისინი მთელ მსოფლიოსთან ადვილად კონტაქტობენ. ჩვენ კი მაინც ჩაკეტილ სივრცეში ვართ ყველანაირი თვალსაზრისით: მენტალური, ადმინისტრაციული, ენობრივი და სხვა. ეს აფერხებს ყველა დონეზე ჩვენს სათანადო წარდგენას“,** — ამბობს მარიამ წიკლაური.

ასტრიდ ლინდგრენის პრემიას, რომელიც 2003 წლიდან არსებობს, საქართველოში ნაკლებად იცნობენ. არადა, საბავშვო მწერლობის სამყაროსთვის ეს წლის მთავარი მოვლენაა ხოლმე. რატომ არ ხდება მისი უკეთესად პოპულარიზაცია საქართველოში?

> საბავშვო მწერლებს რამდენიმე პასუხი აქვთ, მათგან ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ, მათი აზრით, საქართველოში არც ბავშვია ღირებულება და არც ზოგადად, ადამიანი.

**„ერთ საბავშვო ავტორს ვერ დაგისახელებს ვერავინ, არავინ არ იცის, რაა ალმა, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ან იაკობ გოგებაშვილის პრემია, ვინ მოვიდა ნოდარ დუმბაძის მერე? საერთოდ რა უნდათ და სჭირდებათ ბავშვებს ან ავტორებს, ან ბიბლიოთეკებს, ან მთარგმნელებს, თუნდაც გამომცემლობებს?“**

— კითხულობს მარიამ წიკლაური, რომლის აზრითაც, ჯერ ქართველებს ასტრიდ ლინდგრენის ჯილდოს მიღების რეალური შანსი არა აქვთ, თუმცა რა იქნება მომავალში, ეს სწორედ იმ პოლიტიკაზეა დამოკიდებული, რაც ქვეყანას საბავშვო ლიტერატურის ავტორების მიმართ ექნება:

**— „მხოლოდ წარდგენა არაფერს ნიშნავს, ეს ყოველწლიური რიტუალია, მთავარია, წლიდან წლამდე რას ვაკეთებთ ჩვენი კულტურის მსოფლიოში გატანისთვის“.**

— ამ ჯილდოს მიღების შანსებს ამცირებს ისიც, ფიქრობს კიდევ ერთი საბავშვო ავტორი **ვასილ გულეური,** რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა თითქმის არ ითარგმნება.

**— „კარგი ავტორი ხშირად სულაც არ არის კარგი ლიტერატურული აგენტი“,** — დანანებით შენიშნავს ვასილ გულეური, რომლის აზრითაც, ქართველი საბავშვო მწერლებისთვის წიგნის გამოცემა საქართველოშიც კი პრობლემაა.

ცალი ხელიც კმარა იმ ავტორების ჩამოსათვლელად, ვისი საბავშვო წიგნებიც საერთოდ ითარგმნა და საზღვარს გასცდა — ვასილ გულეურს ეთანხმება მარიამ წიკლაურიც:

**„სადაა თარგმანები იმ ავტორების, რომლებიც კარგ საბავშვო ლიტერატურას ქმნიან? არ არსებობს. მიზეზად ასახელებენ, რომ არ მოსწონთ უცხოელებს მათი წიგნები? სად შესთავაზეს, რა სასინჯი თარგმანები გააკეთეს, ვისი, როდის? მე არსად მსმენია მსგავსი რამ“.**

***— იქნებ ქართულ საბავშვო ლიტერატურას სიახლე სჭირდება?***

— სიახლეც ბევრი იწერება, — პასუხობს ამ კითხვას მარიამ წიკლაური. მაგრამ იმასაც შენიშნავს, რომ ავტორიც ადამიანია და მან რომ ახალი „რონია“ დაგიწეროს, ახალი „პიტერი“ დაგიხატოს, ახალი „ბიბო“, უნდა ჰქონდეს განწყობა, შვება, თავისუფალი დრო და ყველაფერი, რაც ამის უკან იგულისხმება. და რაზეც არავინ ზრუნავს.

**„ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ადამიანები, თუნდაც 10 ავტორი, მათ უნდა მიეცეთ საშუალებაც, ასპარეზიც, ხელშეწყობაც. ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ ისინი არსებობენ. და არა ვიწრო-კლანურ-პოლიტიკურ თუ ათას სხვა ინტრიგის ბადეში უნდა ვახრჩობდეთ მათ. მოტივაცია მნიშვნელოვანია ადამიანის საქმიანობაში! რომ ვადარებ უცხოურ საბავშვო წიგნებს, მეტირება, რამდენად შეზღუდულია ქართველი ავტორის და მხატვრის ასპარეზი“.**

ვასილ გულეური კი ფიქრობს, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა დღეს უფრო ძიების, განვითარების ეტაპზეა. სტერეოტიპებისგან თავდახსნის გზას ადგას.

**„ღირებული საბავშვო ლიტერატურის შექმნა არაფრით იოლი არ არის „სადიდო“ ლიტერატურაზე, პირიქითაც. იქნებ ამიტომაც იწერება ნაკლები, განსაკუთრებით კი მოზარდებისთვის. ამასთან, კარგ საბავშვო ლიტერატურას აქვს უნიკალური თვისება — ის ყველა ეროვნების ბავშვისთვის გასაგებია. ბავშვს ყველგან მსგავსი თემები აინტერესებს, მსგავსი რამე ახარებს, სწყინს. სწორედ ამაშია კარგი საბავშვო ლიტერატურის საიდუმლოც“,** — გვითხრა ვასილ გულეურმა.

პატრიოტული საბავშვო ლექსები არ გაქვთ? — ჰკითხეს ვასილ გულეურს ერთხელ:

**„დღესაც რამდენი მშობელია, რომელიც ბავშვს თავიდანვე „პატრიოტულ-მამულიშვილური“ სულისკვეთების, ხშირად სრულიად მდარე ლექსებს ასწავლის — აზეპირებინებს! მქონდა რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, როცა მასწავლებელს მოუწერია — თქვენ სულ ცხოველებზე და ფრინველებზე გაქვთ ლექსები, მე მინდა, რაიმე პატრიოტულ თემატიკაზე ვასწავლო ბავშვებს და ასეთი ლექსები არ გაქვთ? საბოლოოდ, ისევ განათლების სისტემასთან მივდივართ — სწორედ სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი ბავშვებში ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებას, რადგან ის მშობლებიც ხომ სკოლებიდან მოდიან და თავის დროზე სწორედ იმგვარ ლიტერატურაზე იზრდებოდნენ, რაც ახლა თავიანთი შვილებისთვის უნდათ“.**

### პატარა ბაზარი - როგორც მთავარი პრობლემა

ნიკი თარხან-მოურავი გამომცემლობა „ზოლიანი კატის“ დამფუძველია, რომელიც საბავშვო, ილუსტრირებულ წიგნებს გამოსცემს. მთავარ პრობლემად, თანამედროვე ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე საუბრისას, ის წიგნის პატარა ბაზარს ასახელებს.

თუ წიგნის დიდი ტირაჟი არ გაიყიდა, ამბობს ის, წიგნის გამოცემის ხარჯიც ვერ იფარება. ამიტომ გამომცემელიც თავს იკავებს ისეთი წიგნების და ავტორების გამოცემისგან, ვინც ამის გარანტიას არ მისცემს. ექსპერიმენტების კეთებას კი ყველა ვერ რისკავს. რჩება მარტივი გზა — უკვე ცნობილი, უკვე პოპულარული, კარგად გაყიდვადი წიგნების თარგმნის უფლებების ყიდვა და ასეთი წიგნების გამოცემა.

**„აქ კიდევ ერთი პრობლემაა, მშობლებს აქვთ მყარი წარმოდგენა, რა უნდა წააკითხონ ბავშვებს. ძირითადად, თვითონ რაც უყვარდათ და, ასე ვთქვათ, დაცდილი აქვთ, იმას ურჩევენ შვილსაც. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ახალი ტექნოლოგიების საუკუნეში. წიგნს ძალიან ბევრი ალტერნატივა გამოუჩნდა და ბავშვებს ბევრად მეტი თავშესაქცევი აქვთ ახლა, ვიდრე ადრე ჰქონდათ. ეს მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევაა და ბოლო წლებში მსოფლიოში ძალიან შეიცვალა საბავშვო წიგნებთან დამოკიდებულება — ახლა ყველაფერი მიმართულია იქით, როგორ შევაყვაროთ ბავშვებს კითხვა და ჩავანაცვლებინოთ გაჯეტი. შეიცვალა წიგნის ფორმატი და შინაარსი, მთლიანად მიდგომა. ჩვენთან არ არსებობს ასეთი ინსტიტუტები, რომლებიც ამ კუთხით მუშაობენ“.**

ნიკი თარხან-მოურავის აზრით, ქართველი გამომცემლები აგრძელებენ იმის გამოცემას, რაც „ეყიდებათ“ და თან სახელმწიფოსგან ელიან რაღაც ინიციატივებს. ხოლო, როცა ქართული გამომცემლობებიდან არ არსებობს დაინტერესება, გამოსცენ ქართველი ავტორების წიგნები, კარგი წიგნებიც ნაკლებად იწერება:

**„თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა და თანამედროვე ილუსტრაციები არის ყველასგან მივიწყებული და ჩავარდნილი სფერო. ამიტომ გადავწყვიტე, ეს ნიშა დამეკავებინა. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ილუსტრაციები ჩემი განსაკუთრებული ინტერესის სფეროა, ამიტომ ამ შემთხვევაში ჩემი გატაცება დაემთხვა საჭიროებას. საინტერესო ამბავი აქტუალურ თემაზე, კარგად მოთხრობილი და მაღალი ხარისხის ილუსტრაციებით გაფორმებული — მხოლოდ ასე შეგიძლია დაუპირისპირდე... ჩვენთან გამოცემული თარგმანების უმეტესობა მოძველებული ტექსტებია, ზოგი კი მხოლოდ ლოკალურ ბაზარზე ორიენტირებული, შესაბამისად, შინაარსი ბუნდოვანია ბავშვისთვის. ცხადია, თარგმანიც უნდა გამოიცემოდეს, მაგრამ საბავშვო ლიტერატურაში ყველგან წამყვანი ადგილი უკავიათ ადგილობრივ ავტორებს“,** — გვითხრა ნიკი თარხან-მოურავმა.

იმას, რომ ძალიან ცოტა ქართველი საბავშვო ავტორია ნათარგმნი უცხო ენაზე და ამ სფეროს ხელის შეშველება უნდა, არ უარყოფს მწერალთა სახლის დირექტორი **ნატა ლომოურიც,** რომლის თქმით, მთარგმნელობითი საქმიანობის ნაწილი, რომელიც მთლიანად წიგნის ეროვნულ ცენტრს ებარა, მათ ახლახან ჩაიბარეს.

„ქართული საბავშვო ლიტერატურა რომ პრიორიტეტია ჩვენთვის, ამას ისიც ადასტურებს, რომ მწერალთა სახლს ჯერ კიდევ 2013-2014 წლებიდან აქვს საბავშვო პროგრამა, რომელსაც ვასილ გულეური უძღვება. **გვინდა, რომ ეს სფერო კიდევ უფრო განვითარდეს და ამაზე ვფიქრობთ. სხვათა შორის, სწორედ ვასილ გულეური წარვადგინეთ ახლახან ჰანს ქრისტიან ანდერსენის პრემიაზე — ვფიქრობთ, რომ ესეც ერთი პატარა ნაბიჯია ჩვენი ავტორების პოპულარიზაციისთვის“.**

ნატა ლომოური გვეუბნება, რომ საქართველოს ჰყავს რამდენიმე ისეთი საბავშვო ავტორი, რომელთა ტექსტების კარგად თარგმნის შემთხვევაში, მათ აქვთ რეალური შანსი, კონკურენცია გაუწიონ თავიანთ კოლეგებს. მწერალთა სახლი კი, ეცდება, მეტი გაკეთოს ამ კუთხით.

**„ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს გავაკეთებთ. წელს, მაგალითად, მესამედ ვატარებთ იაკობ გოგებაშვილის პრემიის დაჯილდოებას, სწორედ საბავშვო მწერლებისთვის და გვინდა, რომ ამჯერად მასში ბავშვებმაც მიიღონ მონაწილეობა — ფრანკფურტში საბავშვო წიგნების სტენდებთან ხშირად შეხვდებით გმირების კოსტიუმებში ჩაცმულ ბავშვებს — ჩვენც შეგვიძლია ავიღოთ ეს მაგალითი. თითქოს, პატარა დეტალია, მაგრამ მგონია, რომ ყველაფრის პოპულარიზაცია ასეთი დეტალებისგან შედგება“.**

რაც შეეხება ბოლონიის საბავშვო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტენდის განთავსებას — ჯერჯერობით ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის, თუმცა, როგორც მწერალთა სახლის დირექტორი ამბობს, მსჯელობა გრძელდება და იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში ქართველ საბავშვო ავტორებს და მათ წიგნებს ბოლონიაც უმასპინძლებს.

**ეკა ძევანიშვილი**

# რიჩარდ სტენგელი: რუსეთის მიზანი დემოკრატიებისთვის, ნატოსთვის, ევროკავშირისთვის ძირის გამოთხრაა!

**„რუსული დეზინფორმაციის ისეთი ცუნამი, როგორიც 2014 წელს ყირიმის მოვლენებისას ვიხილეთ, აქამდე არასდროს გვინახავს“, — ამბობს რიჩარდ სტენგელი, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე საჯარო დიპლომატიის საკითხებში. სტენგელმა, რომელიც წლების განმავლობაში ჟურნალ „ტაიმის“ რედაქტორი იყო, გასულ კვირას ახალი წიგნი წარმოადგინა. რატომ დავმარცხდით მზარდ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში — ამ და სხვა საკითხებზე ავტორი და დიპლომატი „ამერიკის ხმას“ ესაუბრა.**

**— როგორ დავმარცხდით გლობალურ ბრძოლაში მზარდ დეზინფორმაციასთან? ეს თქვენი წიგნის ერთ-ერთი მთავარი კითხვაა. რატომ ფიქრობთ, რომ ამ ბრძოლაში დავმარცხდით?**

— ეს უწყვეტი ბრძოლაა. მაშინაც კი, თუ აგებ, არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ დამარცხდი. წიგნის ეს ქვესათაური სახელმწიფო დეპარტამენტში 2014-16 წლებში ჩემი სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობის გამოცდილებიდან მოდის.

დეზინფორმაციის ეს ცუნამი პირველად სწორედ მაშინ, 2014 წელს ვნახე, ყირიმის ანექსიის თემის შესახებ. მთელი ცხოვრება მედიაში ვმუშაობდი, ვიყავი ჟურნალ „ტაიმის“ რედაქტორი და ამ მასშტაბის რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა მანამდე არასდროს მინახავს. როცა ამის შესწავლა დავიწყეთ, ვნახეთ „ინტერნეტის კვლევის სააგენტოს“ შექმნა სანკტ-პეტერბურგში და როგორ ავრცელებდნენ რუსები ტყუილებს ყირიმის შესახებ. საბოლოოდ კი ვიხილეთ, როგორ გადაიზარდა მოქმედებად ეს ყველაფერი 2016 წლის ამერიკის არჩევნებში. ჩვენ არ გვქონდა დრო თუ ცოდნა იმისთვის, რომ რამე მოგვემოქმედებინა.

რუსებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საქართველოში, უკრაინაში და გერმანიასა და საფრანგეთშიც კი დეზინფორმაციის შექმნა-გავრცელების ხანგრძლივი ისტორია აქვთ. მაგრამ ხშირად ეს იყო რუსულად, უკრაინულად, სხვა ენებზე. ამჯერად კი ეს იყო კონცენტრირებული იმაზე, რომ პუტინის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიის შესახებ ნარატივი შეეცვალათ.

**— რამდენად და როგორ ხდებოდა ამის აღქმა ამერიკის ხელისუფლებაში და რა ზომები იყო მიღებული მაშინ, როდესაც დაიწყო გააზრება, რომ ინფორმაცია დასავლეთის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად გამოიყენებოდა?**

— რუსეთისა და მისი ე.წ. „აქტიური ზომების“ შესახებ დაზვერვის ინფორმაცია თუ ცოდნა დიდი ხანია არსებობს. ცივი ომის დროიდან მოყოლებული, ვიცით, რომ მათ დასავლეთისა და ნატოს ერთობის დარღვევა სურთ. ჩვენ ვხედავდით, რას აკეთებდა რუსეთი მის სამეზობლოში, ევროპაში და შემდეგ, როდესაც დავინახეთ, რომ ეს 2016 წელს ჩვენამდე მოვიდა, ცოტა არ იყოს, გვიან იყო.

**— რამ ითამაშა ყველაზე მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ რუსული დეზინფორმაციის მანქანა ასეთი ძლიერი და ეფექტური გახდა? როგორ შეაღწია მან ამდენად ამერიკის დემოკრატიასა და საარჩევნო პროცესებში?**

— მე არ ვფიქრობ, რომ ის ძალიან წარმატებული იყო. არც ის მგონია, რომ ის ძალიან დახვეწილი ან კომპლექსურია. პრობლემა ისაა, რომ ზოგჯერ ჩვენ არ ვართ საკმარისად მომზადებულები. დეზინფორმაცია მხოლოდ მიწოდების პრობლემა არაა, ეს მოთხოვნის პრობლემაცაა. ძალიან დიდი გულგრილობაა ამერიკელთა შორისაც, ფაქტსა და გამონაგონს შორის განსხვავების გარჩევის კუთხით. სულ ვამბობ ხოლმე, ჩვენ არ გვაქვს ყალბი ახალი ამბების პრობლემა, ჩვენ გვაქვს მედია-წიგნიერების პრობლემა. ხალხს არ ესმის, საიდან მოდის ინფორმაცია.

ვფიქრობ, რუსები ჩვენს საკუთარ გულუბრყვილობასა და გულგრილობას იყენებდნენ ჩვენ წინააღმდეგ. თვითონ დეზინფორმაციული მასალები კი ხშირად სულაც არ იყო გამართული ინგლისურით დაწერილი, ამ და სხვა მიზეზებით ადვილი მისახვედრი იყო ბევრი რამ, მაგრამ ხალხი, ვისთვისაც ეს იყო გამიზნული, ამ განსხვავებას ვერ ხედავდა.

**— ბევრი სხვა მოთამაშეცაა ამ სფეროში, სხვა რეჟიმები. ამბობთ, ეს იმიტომ ხდება, რომ არ არსებობს სასჯელი, პასუხი, მათთვის ცუდი შედეგები არ დგება. რა უნდა იყოს ასეთი შედეგი?**

— ამას ასიმეტრიულ ომს ვუწოდებთ, ეს არაა ექსპანსიური ომი. შეიძლება, ერთი საწყობი გქონდეს და ლეპტოპებმომარჯვებული ადამიანების ჯგუფი გყავდეს. არ გჭირდება საჰაერო შეიარაღებისა თუ ხომალდების ყიდვა.

აქამდეც ბევრი პასუხი იყო. მაგალითად, ობამას ადმინისტრაციამ რუსეთს არჩევნებში ჩარევის გამო სანქციები დაუწესა. ტრამპის ადმინისტრაციამ ზოგიერთი ამ სანქციის მოქმედება გააგრძელა. მაგრამ, მგონია, რომ ეს აქტიური კიბერომია და პასუხიც ზოგ შემთხვევაში უფრო მკაცრი უნდა იყოს. გარდა ამისა, ჩვენ, ამერიკელებიც, არ უნდა ვაკეთებდეთ იმას, რასაც სხვები გვიკეთებენ.

**— რატომ არის დეზინფორმაცია ასეთი დიდი საფრთხე დემოკრატიისთვის? განსაკუთრებით კი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის, როდესაც ის ისეთი განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებზეც მოქმედებს, როგორიც დასავლეთ ევროპის ქვეყნები თუ ამერიკაა?**

— ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ამბობს, რომ ხელისუფლება ხალხის თანხმობით მოქმედებს, ხალხი ირჩევს და ძალაუფლების გადაცემის ეს თანხმობა არის დაფუძნებული ფაქტებზე, ინფორმაციაზე. დამოუკიდებელ ადამიანებს სჭირდებათ ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. როცა ეს ინფორმაცია დამახინჯებულია, დამაბნეველია, მაშინ არჩევანიც აღარაა გონივრული, სამართლიანი, კანონიერი და ესაა პრობლემა. დემოკრატია იმ ადამიანებს ეფუძნება, რომლებიც ინფორმირებულ არჩევანს აკეთებენ და სწორი, ნამდვილი ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლა ამისთვის აბსოლუტურად აუცილებელია.

**— აღმოსავლეთ ევროპაში რუსული დეზინფორმაცია ხშირად ეთნიკურ განსხვავებებსა თუ სხვა დამაპირისპირებელ საკითხებზე კონცენტრირდება. დეზინფორმაცია ზოგჯერ სამხედრო აგრესიის წინაპირობებსაც კი ქმნიდა. რა არის თქვენი აზრით ის, რასაც კრემლი წარმატებული კამპანიისთვის ყველაზე ეფექტურად იყენებს?**

— რუსები ცდილობენ უკვე არსებული, რთული და დამყოფი საკითხები გააღრმავონ, როგორც ამას ამერიკაში რასობრივ საკითხებთან დაკავშირებით აკეთებდნენ. აღმოსავლეთ ევროპაში კი ეს ხდება ხალხებს შორის, მაგალითად, რუსულად მოსაუბრე და სხვა ენებზე მოსაუბრე მოსახლეობას შორის, სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების ჯგუფებს შორის და ა.შ. ეს ძალიან საშიშია. და ვფიქრობ, სოციალური მედიის კომპანიებმა, რომლებიც ამა თუ იმ პლატფორმას ფლობენ, უნდა იმუშაონ იმისთვის, რომ მოხდეს იდენტიფიცირება: რა ინფორმაცია მოდის ადამიანებისგან, რა — რობოტებისგან, ავტომატიზებული ონლაინ-ანგარიშებისგან. ის ინფორმაცია კი, რომელიც დასტურდება, რომ ყალბია, პლატფორმებიდან უნდა მოიხსნას.

**— დეზინფორმაციას სხვადასხვა ავტორიტარული რეჟიმი მეტ-ნაკლებად მსგავსი, მაგრამ ალბათ მაინც განსხვავებული, კონკრეტული მიზნებისთვის იყენებს. როგორ ფიქრობთ, რა არის რუსული დეზინფორმაციული მანქანის მთავარი მიზანი და როგორ უნდა დავუპირისპირდეთ მას?**

— ვფიქრობ, რუსები ჩვენს საკუთარ გულუბრყვილობასა და გულგრილობას იყენებდნენ ჩვენ წინააღმდეგ.

> მათი მიზანი დასავლეთში დემოკრატიებისთვის, ნატოსთვის, ევროკავშირისთვის ძირის გამოთხრაა, დემოკრატიისადმი ხალხის რწმენის შესუსტება. იმ რწმენის, რომ დემოკრატია მუშაობს, რომ ინდივიდუალურ არჩევანს აქვს მნიშვნელობა. ვფიქრობ, სურთ, რომ მათი მმართველობის რეჟიმი, რომელიც ავტოკრატიულია და არა დემოკრატიული, წარმოადგინონ, როგორც უკეთესი არჩევანი, ვიდრე დემოკრატიაა. საბოლოოდ, ისინი უკმაყოფილების იარაღად ძცევას ცდილობენ. სურთ უბედურების და უკმაყოფილების დათესვა საზოგადოებაში. და როგორც პოლიტიკური მეცნიერები 500 წელია, ამბობენ, რუსეთი თავს უფრო დაცულად მაშინ გრძნობს, როდესაც მის ირგვლივ ძვეყნები დაუცველები არიან. მათ სწორედ ეს უნდათ: რომ მათ სამეზობლოში ძვეყნები თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ.

ვფიქრობ, უფრო პრაქტიკულები უნდა ვიყოთ. საჭიროა რუსეთის გაფრთხილება, რომ ასე არ მოიქცეს, სანქციების გაგრძელება და მცდელობა, შევაჩეროთ მცდარი ინფორმაციის შემოდინება. ამასთან, მედიაწიგნიერების გაზრდა. რაც უფრო მეტი ადამიანი გააცნობიერებს და მეტს ეცოდინება, რომ მიღებული ინფორმაცია შესაძლოა არა ამერიკელებისგან, არამედ რუსებისგან, ჩინელებისგან ან ირანელებისგან მოდიოდეს, მით უფრო კარგი იქნება. ხალხმა უნდა დაიწყოს იმის განსხვავება, რა ჩანს უფრო სანდო და რა — არა, რა არის ფაქტებზე დაფუძნებული, და ეს მოგვიტანს ცვლილებებს. მთავრობებმა, ინსტიტუტებმა და სოციალური მედიის კომპანიებმა შესაძლოა იმუშაონ, მაგრამ საბოლოოდ მაინც საზოგადოება, ადამიანები წყვეტენ, სანდოა თუ არა ესა თუ ის ინფორმაცია.

**ეკა მაღალდაძე**

# ისლამისტების ლიდერი ალ ბაღდადი მოკლეს

**„აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის** სიკვდილი არ ნიშნავს ისლამური სახელმწიფოს და მისი იდეოლოგიის დასასრულს, რომელიც რეგიონული ნავთობდოლარების დახმარებით აყვავდა“, — ასე გამოეხმაურა ირანის მთავრობა ისლამური სახელმწიფოს ლიდერის ლიკვიდაციას.

აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“, ლიკვიდირებულია. ოფიციალური განცხადება ალ-ბაღდადის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით 27 ოქტომბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააკეთა.

აშშ-ის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის ლიკვიდაციას სხვადასხვა ქვეყანაში გამოეხმაურნენ. საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ფლორენს პარლიმ ამერიკელ მოკავშირეებს წარმატებული ოპერაციის ჩატარება მიულოცა. „ჩემი ფიქრებით დღეს ბაღდადის სიგიჟის ყველა მსხვერპლთან და იმ ადამიანებთან ვარ, ვინც მის მიმდევრად იქცა“, — განაცხადა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა.

ალ-ბაღდადის ლიკვიდაციას „ტვიტერის“ გვერდზე გამოეხმაურა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრიც. მისი თქმით, ნომერ პირველი ტერორისტის სიკვდილი ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლაში მნიშვნელოვანი მომენტია.

„დაეშის“ ბოროტებასთან ბრძოლა არ დასრულებულა. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას კოალიციაში პარტნიორებთან, რათა „დაეშის“ მკვლელობები და ბარბაროსული აქტივობა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს“, — წერს ბორის ჯონსონი.



განცხადება გაავრცელა თურქეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ფაჰრეთინ ალთუნმაც. „თურქეთი ამაყია, რომ დაეხმარა აშშ-ს, ჩვენს მოკავშირეს ნატოში, რომ ტერორისტს პასუხი ეგო. ახლა დროა, ძალები გავაერთიანოთ და დაუყოვნებლივ დავამარცხოთ რეგიონში მოქმედი ყველა ტერორისტული დაჯგუფება“, — განაცხადა ერდოღანის თანაშემწემ. აშშ-ს წარმატებული სპეცოპერაციის ჩატარება მიულოცა ისრაელის პრემიერ-მინისტრმაც. „ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა, მაგრამ კამპანია ჯერ არ დასრულებულა“, — განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

◎ ძალოსნობა

# ახალგაზრდების საარაკო რუმინული ნადავლი

**ბუქარესტში დამთავრდა ახალგაზრდა და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ათლეტებმა 18 ჯილდო მოიხვეჭეს, მათ შორის – 6 ოქროსი, 5 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოსი.**

გამორჩეულად უხვმოსავლიანი გამოდგა ასპარეზობის ბოლო სამი დღე – 23-წლამდელმა ძალოსნებმა ჩვენი დელეგაციის ყულაბა რვა მედლით დაამძიმეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ანტონ პლესნოიმ. შეგახსენებთ, რომ ამ სპორტსმენმა საქართველოს მოქალაქეობა 2017 წელს მიიღო, საერთაშორისო სარბიელზე პირველად პოლონეთში შარშან იასპარეზა ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატზე და დებიუტი ორი მედლით აღნიშნა: ატაცში 172 კილოგრამით პირველი, ხოლო ორჭიდში 368 კილოგრამით მეორე ადგილი დაიკავა.

წლეულს გაზაფხულზე ანტონმა ბათუმში ევროპის ჩემპიონატზე 173 კილოგრამით ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ორჭიდში კი 377 კილოთი მესამე იყო. ტაილანდურ პატაიაში მსოფლიოს ჩემპიონატში 181 კილოგრამით მან „ოქრო“ აიტაცა, ორჭიდში კი 394 კილოგრამით მე-3 ადგილი ხვდა. და აი, ახლა ნამდვილი ტრიუმფი! – ბუქარესტში 3 ოქროს მედალი მოიხვეჭა და ევროპის 4 რეკორდი დაამყარა. ანტონმა ატაცის მესამე ცდაზე 173-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რამაც უმაღლესი სინჯის მედალი მოუტანა. იგი შეუდარებელი იყო აკვრაშიც – მესამე ცდაზე 215-კილოგრამიანი შტანგა შემართა თავს ზემოთ და მეორე ოქროს ჯილდო დაიმსახურა, ხოლო ორჭიდის ჯამში მეორეადგილოსან უკრაინელ ვოლოდიმირ ჰოზას 24 კილოგრამით აჯობა.

**96 კგ.** 1. ანტონ პლესნოი (საქართველო) – 388 (173+215), 2. ვოლოდიმირ ჰოზა (უკრაინა) – 364 (164+200), 3. სტანისლავ მაზიცინი (რუსეთი) – 363 (163+200). პლესნოიმდე ცოტა ხნით ადრე, ტრავმის მიუხედავად, 23-წლამდელთა 89 კილოგრამ წონით კატეგორიაში კარგად იასპარეზა რევაზ დავითაძემ, რომელმაც სამივე სინჯის თითო მედალი დაიმსახურა: ატაცში 168 კილოგრამით ოქრო არავის დაუთმო, აკვრაში 195 კილოგრამით მესამე იყო, ორჭიდის ჯამმა კი ქართველ ათლეტს ვერცხლის მედალი მოუტანა. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა, 21 წლის დავითაძემ წლეულს ბათუმში უფროსთა კონტინენტის პირველობაზე ატაცში 170 კილოგრამით ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო აკვრასა (200 კგ) და ორჭიდში (370 კგ) ვერცხლის მედლები ერგო. ტაილანდურ პატაიაში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე რეზომ 172 კილოგრამით ატაცში ოქრო მოიპოვა, ორჭიდში კი 371 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. **89 კგ.** 1. ჰაკობ მკრტიჩიანი (სომხეთი) – 375 (165+210), 2. რევაზ დავითაძე (საქართველო) – 363 (168+195), 3. დავიდ ჰოვანისიანი (სომხეთი) – 357 (161+196). კარპატული ფორუმის დასკვნით დღეს მედლებისთვის იბრძოდა გიორგი ჩხეიძე (+109 კგ). მან 182 კილო აიტაცა, 228 კილო აკრა და ორჭიდში 410 კილოს მოუყარა თავი, რაც ჩემპიონატზე, როგორც აკვრაში, მე-3 შედეგი აღმოჩნდა და ჩვენებური ორი ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. **+109 კგ.** 1. სიმონ მარტიროსიანი (სომხეთი) – 434 (198+236), 2. ედუარდ ზიაზიულინი (ბელარუსი) – 432 (197+235), 3. გიორგი ჩხეიძე (საქართველო) – 410 (192+228)

**ლექსო ცინცაძე**

◎ ძიუდო

# „ვერცხლიც“, „ბრინჯაოც“

**აბუ დაბიში გამართულ ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირზე მხოლოდ ორმა ქართველმა ფალავანმა გამოიჩინა თავი. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლუკა მაისურაძემ ფინალამდე ყველა მეტოქე ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა სამხრეთკორეელ ლი მუნ ჯინთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.**

90 კილოში ჭიდაობდა ავთანდილ ჭრიკიშვილი. პირველ წრეში იგი ისვენებდა, შემდეგ ამერიკელი ჯაინი დაჯაბნა, მერე კუბელ სილვა მორალესს დამატებით დროში მოუგო, თუმცა, მეოთხედფინალში სამხრეთკორეელ **დოგჰან გვაკთან** ოქროს დროში დამარცხდა იპონით.

ქართველმა ძიუდოისტმა დამამშვიდებელ წრეში შვედ **მარკუს ნიმანს** სძლია, ბრინჯაოს მედლისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში კი სერბი ნემანია მაიდოვი გაისტუმრა მაყურებლებში და მესამე ადგილი დაიკავა.

**გივი გაგუა**

◎ ფუტსალი

# „ჯვაროსნები“ – თამაშგარეთ

**თურმე, სანამ არ გადახტები, ჰოპ არ უნდა თქვა. საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებზე მოგახსენებთ, რომელსაც, რომ გვეგონა, ყველა პრობლემა გადაჭრილი ჰქონდა, სწორედ მაშინ დაუცდა ფეხი.**

როგორც მოგეხსენებათ, სტარტზე ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ და ჩვენებურთა უშუალო კონკურენტად მიჩნეულ პოლონელებს 3:2 სძლია, მეორე შეხვედრა კი, შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ასეთივე ანგარიშით დათმო სპორტის აღნიშნული სახეობის ერთერთ გრანდთან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ესპანეთთან, რომელმაც პირველი ბრძოლა ფინეთს იოლად მოუგო – 4:1.

მას შემდეგ, რაც შარშანდელი კონტინენტური ფორუმის ფინალური ტურნირის მონაწილე პოლონელები „სუომისთანაც“ დამარცხდნენ – 1:2, მოვლენები ჩვენთვის იდეალურად განვითარდა – შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სკანდინავიელებთან ფრეც გვყოფნიდა.

თითქოს, სებისკვერაძის „დუბლით“ მიზანთან ახლოსაც ვიყავით – 2:2 მსაჯის საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში „ჯვაროსნებმა“ მეტოქეს 3(!) ბურთი გაატანინეს და ელიტ-რაუნდის მიღმა დარჩნენ – 2:5.

ალბათ, ბევრი იტყვის, რა საჭირო იყო, ფავორიტს რომ შევაკვდით, რის გამოც გადამწყვეტი ბრძოლის ბოლომდე ძალები არ გვეყოო, მაგრამ რაღა დროსია თითზე კბენანი – ურემი უკვე გადაბრუნდა და იმედი ვიქონიოთ, რომ სინათლე გვირაბის ბოლოს მომავალში მაინც გამოჩნდება.

**გიორგი შოთაძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# დაუმარცხებელი არავინაა

**მართალია, იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს სარაგბო თასის მეცხრე გათამაშება საქართველოს ეროვნული ნაკრების გარეშე გრძელდება, მაგრამ ჩვენში აღნიშნული ფორუმისადმი ინტერესი მაინც არ განელებულა.**

უპირველესად, გაუწყებთ, რომ „ბორჯღალოსნებმა“ აწ უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგის თავკაცობით მათთვის ზედიზედ მეხუთე პლანეტარული ტურნირი მე-14 ადგილზე დაასრულეს, ცხრილის ფსკერზე კი ზესახელმწიფოების – ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის გუნდები დაილექნენ, რომლებიც უქულოდ დაბრუნდნენ სამშობლოში.

დიდი ალბათობით, მათ მხარს უდავოდ მაჩანჩალა ნამიბიაც დაუმშვენებდა, მაგრამ მას მხსნელად ტაიფუნი მოევლინა, რამაც ჩაშლილი მატჩის საზღაურად მუქთი ორი ქულა და ერთობ საპატიო საბოლოო პოზიცია მოუტანა.

რაც შეეხება ელიტას, უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს სამგზის გვირგვინოსან ახალი ზელანდიის ჰეგემონიის დამხობა, რასაც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. „ოლ ბლექსის“ ცოდვა ინგლისმა დაიდო, რომელიც ისე გაუსწორდა მრისხანე მეტოქეს, როგორც დავითი – გოლიათს – 19:7. „პოშების“ ავსტრალიელ დამრიგებელ ედი ჯოუნზს სავსებით რეალური შანსი აქვს, შეგირდებს ისტორია გადააწერინოს და რაგბის სამშობლოს შვილებს მეორედ ააწევინოს ვებ ელისის თასი.

შაბათს 13 საათზე „იოკოჰამა სთედიუმზე“ არანაკლებ მოტივირებული გამოვა საომრად მეორე ფინალისტი – სამხრეთ აფრიკა, რომელმაც მძიმე ბრძოლაში უელსელი „წითელი ურჩხულების“ ძლევით – 19:16 ახალზელანდიელთა დაწევისა და მესამე ტიტულის მოპოვების შანსი მიიღო.

სხვათა შორის, „ბოკემ“ ჯგუფურ ეტაპზე ერთი შეხვედრა კუნძულელებთან უკვე წააგო, მაგრამ „ოქროს მატჩს“ მაინც უწია.

**კობა კობახიძე**

◎ ჩოგბურთი

# დღე პირველი, დღე უკანასკნელი...

**გუშინ ნიკოლოზ ბასილაშვილი პარიზის „მასტერზში“ თავის ყოფილ მეწყვილე რადუ ალბოტთან შეხვედრით ჩაება, პერსპექტივაში კი მეორე წრის მატჩი თვით ლეგენდარულ როჯერ ფედერერთან უწევდა, რომელმაც პირველ წრეში დაისვენა.**

შვეიცარიელმა გენიოსმა ამ დღეებში მშობლიური ბაზელის ტურნირი, ისევე როგორც ასევე მისი საყვარელი ჰალეს ბალახის საფარზე უიმბლდონის წინ გამართული შეჯიბრება, მეათედ(!) მოიგო, სულ კი კარიერაში 103-ე მთავარი ჯილდო მოიხვეჭა.

შთამბეჭდავია მის მიერ წლევანდელ სეზონში მოპოვებული ტიტულების რაოდენობაც – 4, რაც ნოვაკ ჯოკოვიჩის, დანიილ მედვედევისა და რაფაელ ნადალის შედეგის გამეორებაა.

რაც შეეხება საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელს, მან საფრანგეთის დედაქალაქის კორტზე, მართალია, სტარტზე ჯონ მილმანს სძლია, მაგრამ შემდეგ სამ პარტიაში დანებდა კევინ ანდერსონს.

სამწუხაროდ, ჩვენმა თანამემამულემ წლეულს კიდევ უფრო უარესად იასპარეზა და მოლდოველ მეტოქესთან უთანასწორო ბრძოლა ორ სეტში დათმო – 3:6, 2:6. არადა, მასთან ჩელენჯერისა და ფიუჩერზის სერიის ტურნირებზე, აგრეთვე, ახლახან შანხაის მასტერზზე გამართული ყველა დუელი მოგებული ჰქონდა.

**გეჟან დოლიძე**

◎ მოკლედ

**ფეხბურთი. ეროვნული ლიგა. XXXII ტური.** „ბათუმი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:1, „საბურთალო“ – „დინამო“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი.** „ბათუმი“ – 64, „დინამო“ – 63, „საბურთალო“ – 61 ქულა.

**ბომბარდირი:** ლევან კუტალია („დინამო“) – 17 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჩიხურა“ – „ბათუმი“ (1 ნოემბერი), „დილა“ – „საბურთალო“, „დინამო“ – „ტორპედო“ (3 ნოემბერი).

* * *

**კალათბურთი. ნბა. რეგულარული სეზონი.** „კლივლენდი“ – „ინდიანა“ 110:99.

გოგა ბითაძემ მისთვის სადებიუტო შეხვედრის 4 წუთში აქტივში 2 ქულა და 1 მოხსნა ჩაიწერა, მაგრამ მუხლი იტკინა და პარკეტზე აღარ გამოჩენილა.

**ესპანეთი. ლიგა ენდესა.** „ტენერიფე“ – „ბასკონია“ 78:79.

მასპინძელთა ქართველი ლიდერი გიორგი შერმადინი პარტნიორებს 32 წუთში მოგროვებული 16 ქულით, 4 მოხსნით, 3 პასით და 2 დაფარებით შეეწია, ხოლო ევროლიგის მეოთხე ტურის საუკეთესო მოთამაშედ (სულ კარიერაში – მე-3) აღიარებულმა ბასკთა კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ 30 წუთში თავი 20 ქულას, 5 მოხსნას, 2 პასსა და 1 დაფარებას მოუყარა.

ხსოვნა

# მეანობა-გინეკოლოგიის პატრიარქი პალიკო კინტრაია



საქართველოს საზოგადოებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ბატონი **პალიკო კინტრაია** — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მეანობა-გინეკოლოგიის პატრიარქი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მრავალი აკადემიის და საზოგადოების წევრი, წლების მანძილზე აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ბატონმა პალიკომ თავისი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა მიუძღვნა ქალის, ნაყოფის და ახალშობილის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი პრობლემებია: ფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენება მეანობასა და გინეკოლოგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით, ნაყოფისა და ახალშობილის დაავადებათა პათოგენეზის, მათი ადაპტაციის ცენტრალური სარეგულაციო მექანიზმების შესწავლა. ნაყოფი და ტკივილის პრობლემა, გარემო ფაქტორების გავლენა ორსულობის მიმდინარეობაზე და ნაყოფის განვითარებაზე, სტრესი და ორსულობა.

მის მიერ თანაავტორებთან ერთად პირველად შემუშავებულ იქნა მშობიარობის დროს ნაყოფისა და ახალშობილის კრანიოცერებრალური ჰიპოთერმიის მეთოდი (1968 წ.), ეს იყო საეტაპო შრომა მეანობაში, რადგან მანამდე მთელ მსოფლიოში ნაყოფის ფუნქციურ მდგომარეობას აფასებდნენ ორსულისა და მშობიარის მუცლის წინა კედლიდან სტეტოსკოპის საშუალებით გულისცემის სიხშირის მოსმენით. ამ მეთოდის შემუშავებით გაიხსნა გზა ნაყოფიდან პირდაპირი ინფორმაციის მიღების, რასაც შედეგად მოჰყვა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ პირდაპირი ელექტროენცეფალოგრაფიის და რეოენცეფალოგრაფიის მეთოდების შექმნა.

პროფესორ პ. კინტრაიას მიერ ასევე პირველად შემუშავებულ იქნა ნაყოფისა და ახალშობილის კრანიოცერებრალური ჰიპოთერმიის მეთოდი (1968 წ.), რამაც შესაძლებელი გახადა ჟანგბადის მწვავე უკმარისობის პირობებში ნაყოფის თავის ტვინის გამძლეობის მნიშვნელოვანი გაზრდა.

თანაავტორებთან ერთად დადგენილ იქნა ნაყოფის ძილ-ღვიძილის ბიორითმების არსებობა და მასთან დაკავშირებული ნაყოფის გულის მოქმედების თავისებურებანი (1981 წ), პირველად შეიქმნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდური რუკა, იდენტიფიცირებულ იქნა 15 ნეიროპეპტიდი და დადგინდა, რომ ანტენატალური პერიოდის დასასრულ ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდერგული სისტემა იმყოფება ფუნქციური აქტივობის მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის შეგუებას ახალ პირობებთან. ასევე პირველად თანაავტორებთან ერთად შესწავლილ იქნა ნაყოფის ნეიროპეპტიდების როლი სამშობიარო მოქმედების აღძვრაში და რეგულაციაში.

მრავალი წელი პროფესორი პ. კინტრაია თანაავტორებთან ერთად სწავლობდა სტრესული სიტუაციების — ბუნებრივი (სტიქიური უბედურებები, მიწისძვრა, წყალდიდობა) და სოციალური (ომი, უმუშევრობა და სხვა) გავლენას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ორსულთა ფსიქოემოციურ სტატუსზე. ეს საკითხი შესწავლილი იყო აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილებზე, სომეხ კოლეგებთან ერთად სპიტაკის მიწისძვრის მაგალითზე, ამერიკელ კოლეგებთან ერთად ლუიზიანის (აშშ) ქარიშხლის მაგალითზე. დადგენილია „სტრეს-მოლოდინის“ ფენომენი, ანუ პოსტტრავმული სტრესული დარღვევები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ორსულობის და მშობიარობის მიმდინარეობაზე, ზრდის მათ პათოლოგიურ მიმდინარეობას, თვითნებით აბორტებს, ნაადრევ მშობიარობას, ოპერაციულ ჩარევებს, მკვდრადშობადობას, მოქმედებს ახალშობილთა ფსიქოემოციურ სტატუსზე, მკვეთრად ზრდის ნეირორეფლექსურ აღგზნებადობას.

პროფესორ პ. კინტრაიას გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო შრომა. მათ შორის 14 გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია 40 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

1980 წლიდან პ. კინტრაია არის საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების (ხოლო შემდგომ მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის) უცვლელი ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით როგორც გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, ასევე მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებამ მოიპოვა დიდი საერთაშორისო აღიარება. პ. კინტრაიას ხელმძღვანელობით ინსტიტუტს და ასოციაციას ჰქონდა გრძელვადიანი საერთაშორისო ხელშეკრულება იაპონიის ტოკიოს უნივერსიტეტის, ინგლისის საუთჰემპტონის უნივერსიტეტის, გერმანიის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის, ბუდაპეშტის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრებთან. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ერთობლივად შესრულებული შრომების შედეგები იხილებოდა შემაჯამებელ საერთაშორისო კონფერენციებზე. 1980-2003 წლებში ჩატარებულია 23 ასეთი კონფერენცია და გამოცემულია 23 შრომათა კრებული საქართველოში, უნგრეთში და იაპონიაში.

ნაყოფიერია პ. კინტრაიას ხანგრძლივი მუშაობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ მეან-გინეკოლოგად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც საქართველოში წელიწადში 150 000 ბავშვი იბადებოდა, დედათა სიკვდილობა 3.5-ჯერ შემცირდა და ეს იყო მთელ საბჭოთა კავშირში სამაგალითო მაჩვენებელი.

დიდია პროფესორ პ. კინტრაიას დამსახურება საქართველოში მეან-გინეკოლოგთა ახალი თაობის აღზრდაში როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკოს ექიმთა მომზადების საქმეში. დღეს საქართველოს ყველა კუთხეში მის მიერ აღზრდილი მეან-გინეკოლოგები უძღვებიან ამ ურთულეს საქმეს.

1983 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1985 წელს — საქართველოს სახელმწიფო პრემია სამეანო-გინეკოლოგიური სეფსისის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომებისათვის. 1998 წელს პროფესორი პ. კინტრაია დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. 1998 წელს აირჩიეს უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, 1988 წელს ევროპის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად და ამერიკის მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის საზღვარგარეთელ წევრად. არჩეული იყო რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის საბჭოს წევრად. 2002 წელს — რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

სხვადასხვა დროს პ. კინტრაია იყო საბჭოთა კავშირის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს საექსპერტო საბჭოს წევრი მეანობა-გინეკოლოგიაში, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო კომისიის წევრი და სხვა.

ბატონმა პალიკო კინტრაიამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის გამორჩეულ შვილთა შორის. მისი ცხოვრება ღირსეული მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო დარგს, მეცნიერებას, თაობების აღზრდას, როგორ უნდა იცხოვრო, რომ ჩაუყარო საფუძველი ქვეყნის უკეთეს მომავალს.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შარავანდედად გაჰყვება მომავალ თაობებს.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

სს „ჩაჩავას კლინიკა“; საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია;
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი;
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაცია.

სანთელი

# აკადემიკოსი პალიკო კინტრაია



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **პალიკო კინტრაია**.

აკადემიკოსი პალიკო კინტრაია 1980 წლიდან მუშაობდა კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 2002 წლიდან დღემდე — იმავე ინსტიტუტის სამეთალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. ის ასევე მუშაობდა თბილისის ექიმთა დიპლომისშემდგომი მზადების აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგედ და პროფესორად. ის წლების განმავლობაში ასრულებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგის მოვალეობას, ასევე იყო იმავე სამინისტროს ექიმთა სასერტიფიკაციო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე მეანობა-გინეკოლოგიაში და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე მეანობა-გინეკოლოგიაში. აკადემიკოსი პალიკო კინტრაია 1998 წელს — არჩეული იყო უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, 1988 წელს — ევროპის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად, 1988 წელს — ამერიკის მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის საზღვარგარეთელ წევრად, ხოლო 2002 წელს — რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ის იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 14 გამოგონების ავტორი, მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცულია 40 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია. მას 1983 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1985 წელს — საქართველოს სახელმწიფო პრემია და დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. აკადემიკოს პალიკო კინტრაიას მიერ პირველად იქნა შემუშავებული მშობიარობის დროს ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფიის მეთოდი, ასევე პირველად იქნა დანერგილი ნაყოფისა და ახალშობილის კრანიოცერებრალური ჰიპოთერმიის მეთოდი და დადგენილ იქნა ნაყოფის ძილ-ღვიძილის ბიორითმების არსებობა. აგრეთვე პირველად შეიქმნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდური რუკა და იდენტიფიცირებულ იქნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდერგული სისტემა. უდიდესია აკადემიკოს პალიკო კინტრაიას დამსახურება სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში და მის მიერ არის აღზრდილი დღეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მომუშავე მეან-გინეკოლოგთა აბსოლუტური უმრავლესობა. ასევე მისი ხელმძღვანელობით არის ნამკურნალები ათიათასობით მშობიარე და ახალშობილი, რომელთა ამქვეყნად მოვლინების პირველი ბედნიერი მაუწყებელი თავად იყო. ამაგდარი ექიმის, მეცნიერისა და მასწავლებლის სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს მადლიერი საზოგადოების ხსოვნაში.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

მარინე და თამაზ ჭანტურიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სახელოვანი ქართველი მეან-გინეკოლოგის, ახალგაზრდა სპეციალისტთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს

## პალიკო კინტრაიას

გარდაცვალებას და დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

## სანთელი

ელგუჯა გოცირიძე ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ნუცას, ნუკრი და ნინო კინტრაიებს საყვარელი მეუღლისა და მამის

**პალიკო კინტრაიას**

გარდაცვალების გამო.

---

დოდო სიგუა და თამუნა გოგია თანაუგრძნობენ ქალბატონ ნუცას, ნინო და ნუკრი კინტრაიებს საყვარელი მეუღლისა და მამის

**პალიკო კინტრაიას**

გარდაცვალების გამო.

---

მარინა იოსელიანი, ნესტან ნემსაძე, ნელი გელაშვილი, მანანა ხვედელიანი, მარინა ჭაჭია, მარინა ზოდელავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდი მეცნიერის, საყვარელი პედაგოგისა და მეგობრის

**პალიკო კინტრაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

შორენა კიკვაძე და რუსუდან ხუგაშვილი გულისტკივილით ვიუწყებით და ვუსამძიმრებთ ოჯახს დიდი მეცნიერის, ჩვენი სასიქადულო მასწავლებლის

**პალიკო კინტრაიას**

გარდაცვალებას.

---

ქართული ნავთობისა და გაზის მრეწველობის — ყოფილი „საქნავთობის“ კოლექტივის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მენავთობე, ტექნიკური მეცნიერების დოქტორი და შესანიშნავი პიროვნება, ბატონი

**ომარ ასათიანი**

და თანაგრძნობას უცხადებენ მისი ოჯახის ყველა წევრსა და ახლობელს.

„საქნავთობის“ კოლექტივის სახელით:
**რევაზ თევზაძე, გია მახარაძე, გულიკო მაისურაძე.**

# მკვლელი ცხელ კვალზე დააკავეს



**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1996 წელს დაბადებული გ.ნ. თბილისში დააკავეს.**

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ტაქსის მძღოლს, 1963 წელს დაბადებულ ვ.კ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ვ.კ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან ერთი საათის შემდეგ დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# პოლიციამ თბილისში 1557 აბი „ექსტაზი“ ამოიღო

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში 2 პირი დააკავა. პოლიციამ ჯამში 1557 აბი „ექსტაზი“ ამოიღო. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.**

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1997 წელს დაბადებული მ.ბ. დიღომში დააკავეს. პოლიციამ, მ.ბ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზის“ 1260 აბი ნივთმტკიცებად ამოიღო.



დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენა-შენახვის ბრალდებით, თამარ მეფის გამზირზე დააკავეს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1996 წელს დაბადებული ა.ჯ. დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია 297 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებს ელექტრონულ სამაჯურებს დაუმაგრებენ

**ძალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა განხორციელდება. ცვლილებათა პაკეტი პარლამენტს უკვე წარედგინა და მას დღევანდელ ბიუროს სხდომაზე განიხილავენ. ელექტრონულ ზედამხედველობაში იგულისხმება სპეციალური სამაჯური, რომელსაც მოძალადეს შემაკავებელი ორდერის გაცემისას დაუმაგრებენ.**

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, მსხვერპლი ძალადობის შესახებ სამართალდამცველებს თავად ატყობინებს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ის ამას ვერ ახერხებს ან უბრალოდ თავს იკავებს. ცვლილებების მიღების შემდეგ მოძალადეს, რომელსაც ორდერს გამოუწერენ, ასევე სამაჯურს, მსხვერპლს კი სპეციალურ მოწყობილობას დაუმაგრებენ. მოძალადის მსხვერპლთან მიახლოების შემთხვევაში სამაჯური ავტომატურად გაგზავნის შეტყობინებას პოლიციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლო მონაცემებით, მხოლოდ 2019 წელს 8 ათასამდე შემაკავებელი ორდერი გაიცა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ მიმდინარე წელს საქართველოში ოჯახურ ძალადობას 11 ქალი ემსხვერპლა.

# ბოგოტას მერი ქალი გახდა

**კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტის მერი 49 წლის კლაუდია ლოპესი გახდა. Euronews-ის ინფორმაციით, ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ ქალაქში მერის თანამდებობას ქალი დაიკავებს.**

ლოპესი მემარჯვენე პარტიას წარმოადგენდა და არჩევნებში ხმების 35% მოიპოვა. ახალი მერის მთავარი დაპირება ქალაქში უსაფრთხოების ნორმების გაძლიერება, ბავშვთა უფლებების დაცვა და საგანმანათლებლო სფეროს გაძლიერება იყო.

ყოფილი სენატორი და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი მერის უფლებამოსილებების განხორციელებას 2020 წლის დასაწყისიდან შეუდგება.

კოლუმბიაში, დედაქალაქის მერის პოსტი, პრეზიდენტის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობად მიიჩნევა.

# ბელგიის მთავრობას ქალი უხელმძღვანელებს

**ბელგიის მეფე ფილიპემ ქვეყნის ბიუჯეტის მინისტრი სოფი ვილმესი დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინა.**

ამგვარად ქვეყნის მთავრობას ისტორიაში პირველად ქალი უხელმძღვანელებს. ვილმესი პოსტზე შარლ მიშელს შეცვლის, რომელიც 1 დეკემბრიდან ევროპის საბჭოს პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს.

2018 წლის დეკემბრიდან ბელგიაში დროებითი მთავრობა მოქმედებს. ამის მიზეზი მიშელის მიერ შექმნილი კოალიციის დაშლა გახდა. მუდმივი მთავრობის ჩამოყალიბება ვერც მაისში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხერხდა.

# ქუთაისში სამშენებლო ობიექტიდან მუშა გადმოვარდა

**შემთხვევა ნიკეას ქუჩაზე მშენებარე ობიექტზე გუშინ მოხდა.**

მამაკაცი მრავლობითი მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა. სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ცოტნე ბარბაქაძის თქმით, ამ დროისათვის მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც ბარბაქაძე განმარტავს, ადგილზე უსაფრთხოების ნორმები დაცულია და ფაქტი დაუდევრობას უკავშირდება, რადგან დაშავებული იმ ტიპის სამუშაოებს ასრულებდა, რომელიც დავალებული არ ჰქონდა. ასევე, არ ეკეთა უსაფრთხოების ქამარი.

დაშავებული აზერბაიჯანის მოქალაქეა. ის მშენებლობაზე სამუშაოდ ერთი კვირის მისული იყო...

# დემონსტრანტებმა ქვეყანას ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყეს

**BBC-ის ინფორმაციით, ცოცხალი ჯაჭვის სიგრძემ 170 კილომეტრი შეადგინა. ამგვარად დემონსტრანტებმა საპროტესტო აქციების მე-11 დღე აღნიშნეს.**

დემონსტრაციები ლიბანში 17 ოქტომბერს დაიწყო. აქციების მონაწილეები ეკონომიკურ კრიზისს აპროტესტებენ. 18 ოქტომბერს ბეირუთის ცენტრში პოლიციამ აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა. შეტაკებების შედეგად სულ მცირე 200 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 60 პოლიციელია.

კრიზისთან საბრძოლველად მთავრობამ ეკონომიკური რეფორმების პაკეტი შეიმუშავა.

# ქვევრის ღვინო ამერიკას იპყრობს!..

**ქვევრის ღვინის მწარმოებლები აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში მიმდინარე ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine“ (The Artisan Wine Fair) მონაწილეობენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მიმდინარე წელს გამოფენაში ღვინის ათი მარანია წარმოდგენილი საქართველოდან. ქართველი მეღვინეების განცხადებით, გამოფენა წარმატებით მიმდინარეობს და ქართული ღვინის მიმართ დიდია ინტერესი როგორც პროფესიონალების, ისე მომხმარებლების მხრიდან.**

პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს ქვეყანა წარმოადგენს ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს, სადაც მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით ექსპორტირებულია ნახევარ მილიონზე მეტი ბოთლი ღვინო, რაც 60%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

გამოფენა „RAW Wine“ ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენაზე მოსულ სტუმრებს საშუალება აქვთ, ასევე გაეცნონ ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებს, მის კულტურასა და ისტორიას.

ნიუ-იორკის გამოფენის მონაწილე კომპანიები, 3-4 ნოემბერს ასევე წარმოდგენილი იქნებიან ქალაქ ლოს-ანჯელესში, ამავე ფორმატის გამოფენაზე „RAW Wine LA“.

## სრულმეტრაჟიანი ფილმი „ტომი და ჯერიზე“

**უკვე ცნობილია „ტომი და ჯერის“ შესახებ სრულმეტრაჟიანი ფილმის გამოსვლის თარიღი, როემლსაც სტუდია Warner Bros-ი იღებს.**



მულტფილმის კინოინსტალაცია 2020 წლის 23 დეკემბერს გამოვა. ფილმის რეჟისორი ტიმ სტრონია. კინოფილმში ჰოლია გრეის მორეცი, მაიკლ პენია, კენ ჟონგი, რობ დილეინი ითამაშებენ. ტომი და ჯერისთვის კომპიუტერულ გრაფიკას გამოიყენებენ.

ფილმში მოქმედება განვითარდება ფეშენებელურ სასტუმროში, სადაც თაგვი ჯერი ცხოვრობს. ის სასტუმროში დაგეგმილი საქორწინო ცერემონიის ჩაშლას ცდილობს. სასტუმროს თანამშრომელი კაილა კატა ტომს მოიყვანს, რათა მავნე თაგვს თავისი ადგილი მიუჩინოს.

## ხუთი ახალი კუნძული

**რუსეთის** საზღვაო ძალებმა არქტიკაში ხუთი ახალი კუნძული იპოვეს, რომლებიც ყინულის დნობის შედეგად არის წარმოქმნილი.

საზღვაო ძალებმა კუნძულები პირველად სატელიტის დახმარებით 2016 წელს შენიშნეს, თუმცა ოფიციალურად ყინულის კუნძულების არსებობა დადასტურდა და რუკაზე დაიტანეს აგვისტოსა და სექტემბერში ადგილზე რუსი სპეციალისტების ექსპედიციის შემდეგ. ამის შესახებ ინფორმაცია 23 ოქტომბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა.

ახალი კუნძულები არქიპელაგ ახალი მიწიდან არცთუ ისე შორს, მყინვარ ვილკისთან ახლოს მდებარეობს. კუნძულების საერთო ფართობი 900-დან 54.500 კვადრატულ მეტრამდეა - 10 ფეხბურთის მოედანზე უფრო დიდი.

## დევიდ ლინჩს საპატიო „ოსკარი“ გადაეცა

**საპატიო „ოსკარების“ გადაცემის ცერემონია ლოს-ანჯელესში, გასართობ კომპლექს Hollywood and Highland Center-ში გაიმართა. ლინჩის გარდა, ჯილდო მსახიობმა უეს სტიუდიმ („უკანასკნელი მოჰიკანი“, „მგლებთან მოცეკვავე“), სცენარისტმა და რეჟისორმა ლინა ვერტმიულერმა („შვიდი ლამაზმანი“) და მსახიობმა ჯინა დევისმა („ბითლჯუსი“, „თელმა და ლუიზა“) მიიღეს.**

„თქვენ ძალიან საინტერესო გემოვნება გაქვთ“, — განუცხადა ჟიურის წევრებს დევიდ ლინჩმა.

ლინჩისთვის „ოსკარის“ მინიჭების შესახებ მიმდინარე წლის ივნისში გახდა ცნობილი. ეს მისთვის კინოაკადემიის პირველი ჯილდოა.

ის სამჯერ იყო ნომინირებული საუკეთესო რეჟისორის კატეგორიაში, ფილმებისთვის „ადამიანი-სპილო“, „ლურჯი ხავერდი“ და „მალჰოლანდ დრაივი“. ასევე, ლინჩი ნომინირებული იყო კინოაკადემიის ჯილდოზე, როგორც საუკეთესო სცენარისტი („ადამიანი-სპილო“).

## ახალი სახეობა... ზვიგენის პირში



**იაპონელმა** მეცნიერებმა ვეშაპისებრი ზვიგენის პირში კრევეტისებრი არსება აღმოაჩინეს. მცირე ზომის ბინადარი გამარიდეას ნაირსახეობაა (ამპიფოდის ოჯახიდან). ამის შესახებ ინფორმაციას France 24 ავრცელებს.

ეს ნაირსახეობა გამორჩეულია იმით, რომ როგორც მაღალმთიან რეგიონებში, ასევე ზღვის ფსკერზე არსებობა შეუძლია. წამყვანი მეცნიერი ჰიროშიმას უნივერისტეტიდან კო ტომიკავა გაოცებულია ამ აღმოჩენით, რადგან აქამდე არ ფიქრობდნენ, რომ ამ ცხოველს ვეშაპის პირში ბინადრობაც შეეძლო.

ამ სახეობის არსებები საშუალოდ 3-5 სანტიმეტრის სიგრძის არიან და გამოირჩევიან იმით, რომ მრავალფეროვან გარემოში შეუძლიათ სიცოცხლე შეინარჩუნონ“, — თქვა კო ტომიკავამ. მკვლევრების თქმით, ვეშაპისებრი ზვიგენის პირში აღმოჩენილ ცხოველს მოყავისფრო სხეული აქვს, რომლის სიგრძეც 5 მილიმეტრამდეა. ორგანულ საკვებს კი ბუსუსებიანი ფეხების დახმარებით იჭერს.

## ჩინეთში 67 წლის ქალმა გოგო გააჩინა

**პატარა 2,6 კილოგრამს იწონის, ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს. მედიას აღნიშნული ფაქტი სამშობიაროშიც დაუდასტურეს.**

ახალშობილს ექიმები აკვირდებიან. ორსულობის დროს ქალი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მისი ქმარი ადვოკატია, ქალი კი — ექთანი. წყვილს უფროსი ქალ-ვაჟი და რამდენიმე შვილიშვილი ჰყავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9453; ევრო - 3.2737;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7815;
100 რუბლი - 4.6054; თურქული ლირა - 0.5111;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7324;
1000 სომხური დრამი - 6.1863.

**ამინდი 29 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე | +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +21 |
| **თბილისი:** | ღამე | +9, | დღე | +23 |

**დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge